გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 49
(11 506)

26 – 28 ივნისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს საფეხბურთო გუნდების მომავალი მეტოქეები ევროტურნირებში



«ლინფილდი» ქუთაისის «ტორპედოს» მეტოქე ჩემპიონთა ლიგაში



«ბატე» — თბილისის «დინამოს» მეტოქე უეფას თასზე



«ბირკირკარა» — თბილისის «ლოკომოტივის» მეტოქე უეფას თასზე

4

## „ბრუა“ — „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე ინტერტოტოს თასის II ეტაპზე

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

საქართველოში საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და წამყვან მუშაკთა სტუმრობა იშვიათობა აღარ არის და ყველა ასეთი ვიზიტი ჩვენი ფედერაციებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა. ამ დღეებში თბილისში ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სინიორ ოტავიო ჩიკვანტა სტუმრობდა. საქმიანმა შეხვედრებმა ქალაქის მერთან ვ. ზოდელავასთან, სეოკ-ის პრეზიდენტ ჯ. ბაგრატიონთან, საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძესთან, საციგურაო სკოლის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან ყველას იმედი ჩაუსახა, რომ საერთაშორისო ფედერაცია მხარში ამოგვიდგება და ბოლოს და ბოლოს ნიჭიერ ქართველ მოზარდებს სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში შინ დაოსტატების შესაძლებლობა მიეცემათ.

გასულ შაბათს თბილისში გამართული მასობრივი გარბენით დაგვირგვინდა საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ოლიმპიური კვირეული. წინასწარი ინფორმაციით, მთელ ქვეყანაში 30 ათასამდე სხვადასხვა ასაკის სპორტსმენმა და სპორტის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა კვირეულის პროგრამაში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში და კოლეჯში გრძელდება საბუთების მიღება ტრადიციულ და თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის სპეციალობებზე, როგორც დასწრებულ ისე დაუსწრებელ სწავლებაზე. ღია კარის დღე 5 და 12 ივნისსა დანიშნული 12 საათზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამთავრა 2001-2002 წლის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარზე მუშაობა. პროექტი დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

23 თებერვალს დაიწყო და 30 ივნისს დამთავრდება მოყვარულთა ტურნირი მინიფეხბურთში „ოქროს თასი-2001“, რომელსაც მინიფეხბურთის ფედერაცია ატარებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ თანადგომით. გამარჯვებული „ალდაგისაგან“ „ოქროს თასთან“ ერთად მიიღებს 2000 ლარ ფულად ჯილდოს. მეორე ადგილზე გასული კი ათასი ლარით დაჯილდოვდება...



5

ბავშვთა ფეხბურთი

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

UEFA WOMEN'S CHAMPIONSHIP

SOS

გუშინ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, მიხეილ მესხის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჩაიშალა... ერთმა ვაი-გულშემატკივარმა გვერდით მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შედეგად მსაჯს მკლავი მოსტყდა.

5



## საკუთარი ფულით ნაყიდი ვერცხლი და ბრინჯაო

### ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია — საქართველოს ექვსივე მოკრივე შინ მედლით დაგვიბრუნდა

ჩვენი მოკრივეები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ურიგოდ როდი გამოდიან საერთაშორისო რინგზე. ამჯერად 6 ქართველი ოსტატი მონაწილეობდა ათენის საერთაშორისო ტურნირში, სადაც 13 ქვეყნის რჩეულნი იბრძოდნენ წარმატების მოსაპოვებლად. თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: ექვსივე ჩვენი მოკრივე შინ მედლით დაბრუნდა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა თბილისელებს თენგიზ ჯმუხაძეს (48 კგ) და დავით წიკლაურს (75), ბათუმელ გაგა ბოლქვაძეს (სუპერმძიმე) და ქუთაისელ ავთანდილ კაშიას (57), მესამე ადგილზე გავიდა ფოთელი დავით ხურცილავა (60) და ბათუმელი მერაბ სვანიძე (71 კგ).

ეს იყო A ჯგუფის ტრადიციული ტურნირი. მართალია აქ თვით საბერძნეთს, ინგლისს, რუსეთს, იტალიას, მექსიკას, შოტლანდიას, ავსტრალიას, ფილიპინებს, კვიპროსს, ალბანეთს, უნგრეთს, საფრანგეთს თავისი უძლიერესი მოკრივეები არ გამოუყვანიათ, მაგრამ შემადგენლობა მაინც ძლიერი იყო. გამოცდილება არც ჩვენებს აკლდათ. ფაქტობრივად ჩვენ შვიდი სპორტსმენი წავიყვანეთ საკუთარი ფულით. მონაწილეთათვის თანხა აღარ გვეყო და მეშვიდე მოკრივე — დავით ადამაშვილი რინგს მიღმა დაგვირჩა. ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა კაშიას, მაგრამ საბოლოოდ, როცა ანგარიში იყო 7:7, მსაჯებმა უპირატესობა მიანიჭეს მის ინგლისელ მეტოქეს — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა სერგო ბერძენიშვილმა, რომელიც ასევე საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ კუკური შავგულიძესთან ერთად ახლდა ჩვენს მოკრივეებს საბერძნეთში.

2

კლდეზეც ნისიად ვიცოცოთ?



## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

**ფინეთი:** ჰაკა — ჰიკი 1-1, ინტერი — ტამპერე 2-4, როვანიემი — ატლანტისი 4-2.
**შვედეთი:** ტრელებორგი — ჰამარბი 2-3, იურგორდენი — გეტებორგი 3-1, ჰელსინბორგი — იორებრო 2-3.





ამერიკელ სამპრასს სურს უიმბლდონის წლევანდელი ტურნირი ბოლო იყოს მის კარიერაში. უიმბლდონი კი წარმატებით დაიწყო: ძნელ ბრძოლაში სძლია ესპანელ კლავეტს — 6:4, 7:6 (7:5), 6:4.

## მოკლედ...

- კუპერმა „ინტერში“ ალონსო მიიწვია...
- ბრაზილიელი ჯოვანი „ბარსელონაში“ ითამაშებს
- ძაკერონი „ბეტისში“ მიიწვიეს...

## სენსაცია:





მარტინა ჰინგისმა (შვეიც.), რომელიც მსოფლიოში პირველი ჩოგანია, სასტარტო მატჩი წააგო ესპანელ რუანო პასკუალთან — 6:4, 6:2 და გამოეთიშა ტურნირს. პირველი პარტიები მოიგეს აგრეთვე სერენა უილიამსმა, ჯენიფერ კაპრიატიმ (ორივე — აშშ), გერმანელმა — ანკე ხუბერმა, ბულგარელმა მალეევამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 2 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM © 1997 SLOC 36 USC 380

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 227 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

**დღეს, 26 ივნისს, 11 საათზე, ჩატარდება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომა.**

# რბენის კვირეული თბილისში

წელიწადში ერთხელ თუ გამოცოცხლდება თბილისის უძველესი უბანი რიყე და კვლავ მიიზიდავს ქალაქელებს. ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო დედაქალაქის ცხოვრების რიტმი, დღეს რომ გაუკაცრიელებულია, იქ ორი კაცის გამოჩენა, რაღაც მოვლენას უკავშირდება და ეს უთავრესად მაშინ ხდება, როცა რაიმე ასპარეზობა ტარდება.

შაბათს მაყურებელთა თავშეყრაც მოხდა ამავე მიზეზით, კერძოდ, საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური გარბენის გამო, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს და იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით და „კოკა-კოლას“ ხელშეწყობით ტარდება. ჩვენში რბენის კვირეულის ჩატარებას დაემთხვა სოკ-ის აღმასკომის წევრის და ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ოტავიო ჩიკვანტოსა (იტალია) და ამავე საერთაშორისო ფედერაციის ბავშვთა ციგურაობის განვითარების კომისიის თავმჯდომარე გეორგ შალაკი (უნგრეთი), სტუმრობა, რომლებიც დაესწრნენ მსოფლიო კვირეულის X გარბენის სტარტს.

საპატიო სტუმარმა იტალიიდან, თავად მისცა სტარტის ნიშანი შეჯიბრებას, რომელშიც 600-მდე დიდ-პატარა მონაწილეებთან ერთად ხეიბარი მორბენლებიც გამოდიოდნენ.

რბენის მარშრუტი სამი ეტაპისგან შედგებოდა, ყველაზე გრძელი მონაკვეთი — ვახუშტის ხიდამდე და უკან — 10.548 კმ. ორი დანარჩენი კი 2 და 4 კმ-ისა. ტრასაზე მაყურებელმა იხილა ხანდაზმული ბანოვანნი და ჭარმაგი მამაკაცები, მათ შორის რბენის არაერთგზის მონაწილენი ოლღა მესხი (მანვე გაიმარჯვა 2 კმ-ზე რბენაში) და 87 წლის თბილისელი მიხეილ ვარდიშვილი (ეს სახელი გინესის წიგნშია შეტანილი), 2 კმ-ზე ირბინა (გარბენებში 1991 წლიდან მონაწილეობს).

ინვალიდთა სამეულში იყვნენ ჯამბულ ქარდავა, ნუგზარ მინაძე და მურმან კალანდია, ისინი ამერიკის კლუბ „აქილეს თრეკ-კლაბის“ საქართველოს ფილიალის წევრები არიან, რომლის პრეზიდენტმა მურმან კალანდიამ პირველ ორს ნიუ-იორკის ტრადიციული მსოფლიო მარათონის მონაწილის მიწვევა გადასცა. ეს მარათონი 4 ნოემბერს გაიმართება ამერიკის ამ ქალაქში.

**კვარცხლბეკი.** ***ქალები. 2 კმ:*** 1. ოლღა მესხი, 2. ელენა პასტუხოვა, 3. ცისანა კვერნაძე (სამივე — თბილისი). ***ვაჟები:*** 1. გურამ ჩაჩანიძე, 2. გიორგი სტარეცკი, 3. ალექსანდრე თუთბერიძე (სამივე — თბ); ***4 კმ. ქალები:*** 1. ნინო თათრაულიძე (ახმეტა), 2. ნათელა გელაშვილი (ბორჯომი), 3. მარი გუთანაიძე (ახმ); ***ვაჟები:*** 1. ანდრო მეტრეველი (თბ), 2. ირაკლი ჯააძე (ახმ), 3. გიორგი იურკანოვი (თბ); ***10 კმ. ქალები:*** 1. ნანა გუთანაიძე, 2. თამარ გუთანაიძე (ორივე — ახმ), 3. ქეთევან ბუზალაშვილი (საგარეჯო); ***ვაჟები:*** 1. ჰამლეტ მამიკონიანი (თბ), 2. თემურ ბალაკარი (პოლონეთის საგანმანათლებლო ცენტრი), 3. გიორგი გოგორიშვილი (ბორჯ).

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს აგრეთვე ცალკეულ მონაწილეებს საქართველოს ეოკ-ის, „კოკა-კოლას“ და თბილისის ოლიმპიური ორგანიზაციის პრიზები გადაეცათ.

**ჰ. უნგიაძე**

# გორში წყალბურთმა თავისი ისტორიის ათვლა დაიწყო

„ლელოს“ არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმ დიდ ენთუზიაზმზე, რასაც გორში ავლენენ სპორტის წყალთა სახეობებისადმი. ჯერ წარმატებით გადაწყდა უმთავრესი ამოცანა — კეთილმოეწყო და ამუშავდა საცურაო აუზი, მერე უპირველესად მოზარდთა შორის ცურვის მასობრივი შესწავლით შეუდგნენ საქმეს და აი, დადგა დრო, როცა შუა ქართლში თავისი ისტორიის ათვლას იწყებს წყალბურთი, რომელიც აქ საბჭოთა ეპოქაშიც არ ყოფილა დანერგილი.

პირველი ნაბიჯები კი მაშინ გადაიდგა, როცა ამ რამდენიმე თვის წინათ, გორში ქუთაისიდან ჩავიდა წყალბურთის სპეციალისტი მურმან ფილია. მწვრთნელმა უკვე ცურვის მცოდნეთაგან შეარჩია ყმაწვილები და გუნდიც ორ-სამ თვეში გამოიკვეთა.

ცნობილია, რომ სპორტის პროპაგანდის ყველაზე კარგი საშუალება თვით შეჯიბრებაა. ესეც გაითვალისწინეს და გორში ამ დღეებში თბილისიდან მიიწვიეს ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდები. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რაოდენ ამაღლებული ინტერესი გამოიწვია ამ ფაქტმა. აქაურებს პირველად ეძლეოდათ შესაძლებლობა თავის ქალაქში ეხილათ წყალბურთი. მაღალ დონეზე ჩატარებული ასპარეზობა კი ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

გორის საცურაო აუზის დირექტორმა ჰამლეტ მაყაშვილმა, რომლის დიდი გარჯით ჩატარდა ეს ღონისძიება, ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას, რომ მთავარი მონდომებაა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის თანადგომა კი, როგორც ეს გორში მოხდა, აუცილებლად მოვა.

ოთხთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა „ლაგუნა-ვერეს“ გუნდმა, მეორე და მესამედ ადგილები ასევე თბილისელთა „ბურევესტნიკს“ და „ჯორჯიას“ ხვდათ. მეოთხე ადგილზე მასპინძლები, გორელთა ახალბედა გუნდი გავიდა.

**ვალერი ტარუაშვილი,**
**გორი**

## მილოცვა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს, ამავე აკადემიის ტანვარჯიშის კათედრის გამგეს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს და დამსახურებულ მწვრთნელს აკრობატიკაში, დოცენტ ***ოთარ კაკიაშვილს.***

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

# საქართველოს მოსწავლეთა პირველი სპორტული თამაშები

**ბატუტი**

**ტექნიკური შედეგები**

***სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები:*** 1. ს. გელიაშვილი, 2. ნ. ღუჭაშვილი, 3. ნ. შეყილაძე. (სამივე — თბ); ***ჭაბუკები:*** 1. თ. კოშკაძე, 2. ო. კოლოსოვი — გოგოლაძე, 3. ა. მარტინჩუკი (სამივე — თბ.); ***სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. გოგონები:*** 1. მ. ჯამაგიძე, 2. ო. იურჩენკო, 3. თ. მოდებაძე (სამივე — თბ); ***ჭაბუკები:*** 1. გ. ფუტკარაძე, 2. გ. ცხოვრებაშვილი, 3. მ. ფეიქრიშვილი (სამივე — თბ). ***ჭაბუკთა I თანრიგით.*** მონაწილეობდა მხოლოდ ერთი გოგონა — ქუთაისელი ე. მამრიკიშვილი. ***ჭაბუკთა II თანრიგით. გოგონები.*** 1. თ. კაკაშვილი (ბათ), 2. ნ. მიშველიძე (რუსთ); ***ჭაბუკები:*** 1. გ. კიკნაძე, 2. ა. თარაევი (ორივე — რუსთ), 3. ტ. გოგუა (ბათ). ***ჭაბუკთა III თანრიგით: გოგონები:*** 1. ნ. ლაღიძე, (ქუთ.), 2. ს. კევლიშვილი (რუსთ.), 3. დ. როველაშვილი (მცხ). ***ჭაბუკები:*** 1. ი. ინაშვილი (რუსთ.), 2. ი. მოსიძე, 3. ბ. ოქროპირიძე (ორივე — ბათ). ***გუნდური. გოგონები:*** 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ქვემო ქართლი, ***ჭაბუკები:*** 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ქვემო ქართლი.






თამაშების ჩემპიონი — თბილისის ხელბურთელ გოგონათა გუნდი



თამაშების ჩემპიონი — თბილისის ჭაბუკ ფრენბურთელთა გუნდი

**მეკლდეურობა**

# კლდეზეც ნისიად ვიცოცოთ?

სპორტის ამ სახეობაში მოსწავლე სპორტსმენთა ასპარეზობას საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ შეჯიბრება არ ჩაიშალა მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები, მსაჯები და სპორტსმენები საკუთარი სახსრებით, ასე ვთქვათ, ნისიად ჩავიდნენ შეჯიბრების ადგილზე. მგზავრობის და მსაჯობის ფულს კი, როგორც ჩვენში წესად დამკვიდრდა, ან მიიღებენ, ან არა. დაპირება, მოტყუება-გადაგდება, ბიუჯეტის იმედად მყოფთათვის, უკვე სირცხვილად და პირის გატეხვად აღარ ითვლება. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა.

ასე რომ, კლდეზე ცოცვაში ჩემპიონები და პრიზიორები „ნისიად“ გამოვლინდნენ. აი ისინიც:

***რთული ცოცვა. ბიჭები:*** 1. ზურაბ მალაშხია (თბ), 2. გიორგი ნიგურიანი, 3. პირიბე ხოჯელიანი (ორივე — სამეგრ. — ზ/სვ); ***გოგონები:*** 1. თამარ დიდებულიძე, 2. სოფო ნაცვლიშვილი (ორივე — თბ), 3. მანანა ცინარიძე (აჭარა); ***სწრაფი ცოცვა. ბიჭები:*** 1. [illegible]თანდილ ქურასბედიანი (რაჭა-ლეჩხ.-ქვ. სვ.), 2. ზვიად დავითიძე, 3. დავით სარდანაშვილი (ორივე — აჭ); ***გოგონები:*** 1. დიდებულიძე 2. ცინარიძე, 3. ნაცვლიშვილი. ***ორჭიდი. ბიჭები:*** 1. ქურასბედიანი, 2. ნიგურიანი, 3. დავითიძე; ***გოგონები:*** 1. დიდებულიძე, 2. ცინარაძე, 3. ნაცვლიშვილი.

**თამუნა ჯიშკარიანი,**
ჭიათურა, კაცხი.

# რენა აბჟანდაძის ხსოვნის ტურნირი

წარსულში ცნობილი ჩოგბურთელისა და შემდეგ მწვრთნელის რენა აბჟანდაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი თბილისში ამჟამად მეექვსედ ჩატარდა, როგორც ახალგაზრდებს, ისე ვეტერან ფეხბურთელებს შორის, — შესაბამისად 180 და 30 მონაწილე.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს ასაკის მიხედვით. 1993 წ. დაბ. გოგონები:*** 1. თ. ტატიშვილი, 2. ს. კვიტაშვილი, 3. ა. ბერიშვილი, ***ბიჭები:*** 1 დ. ხუციშვილი, 2. ნ. ქოჩიაშვილი, 3. ს. მეტრეველი, ***1991-92 წ. დაბად. გოგონები:*** 1. ე. გორგოძე, 2. მ. სამკანაშვილი, 3. ნ. ჯაოშვილი; ***ბიჭები:*** 1. ნ. ბასილაშვილი, 2. შ. პაიჭაძე, 3. მ. მაჩაბლიშვილი. ***1989-90 წ. დაბ. გოგონები:*** 1. ნ. ლაგვილავა, 2. ო. კალაშნიკოვა, 3. თ. ცერცვაძე; ***ბიჭები:*** 1. ლ. ქარჩაიძე, 2. გ. ჭანტურია, 3. ე. თაბუცაძე. ***1987-88 წ. დაბ. გოგონები:*** 1. მ. შაპაკიძე, 2. მ. კალაშნიკოვა, 3. ა. ხვედელიძე; ***ბიჭები:*** 1. ს. გოქაძე, 2. გ. ნავროზაშვილი, 3. ვ. მჭედლიშვილი. ***1985-86 წ. დაბ. გოგონები:*** 1. ნ. გეგია, 2. თ. ასლანიშვილი, 3. ა მურღულია. ***1985-86 წ. დაბად. ბიჭები:*** 1. კ. ბურჭულაძე, 2. შ. ფარღალავა, 3. ზ. ქვანია. ***ვეტერანები (ერთეულები):*** 1. გ. მანჯგალაძე, 2. დ. ასათიანი, 3. ა. ლომიძე. ***წყვილები:*** 1. ი. თოფურიძე — დ. ასათიანი, 2. ა. დადიანი — ლ. კვიჭინაძე, 3. გ. სიხარულიძე — ა. ლომიძე.

ტურნირის დირექტორს დავით გოგილაშვილს გადაეცა ტელეკომპანია „აიეტის“ პრიზი. სოფიკო ბერიძემ მიიღო პრიზი „ტურნირის მშვენება“. „მაყურებელთა სიმპათიის“ ჯილდო წილად ხვდა ირინა ყარანგოზიშვილს. სპეციალური პრიზი გადაეცა რენა აბჟანდაძის შვილიშვილის შვილს ლუკა ლომიძეს.

**ლია იმედაშვილი,**
გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.






„რენა აბჟანდაძის ხსოვნის ტურნირში“ გამარჯვებულნი და პრიზიორები ახალგაზრდებსა და ვეტერანთა (ზედა სურათზე) შორის.

რობერტ ბაბოიანის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



– საქართველოდან სულ 22 მოსწავლე გაგვგზავნეს, – ამბობს მზია. მათგან უმრავლესობას არ გვენახა მოსკოვი, ლენინგრადი. მღელვარე გულით ვუახლოვდებოდით საბჭოთა კავშირის დედაქალაქს – მოსკოვს...

– ჩვენ, საბჭოთა კავშირის ბავშვები უბედნიერესი ბავშვები ვართ მთელს მსოფლიოში. ჩვენზე ზრუნავს ლენინ-სტალინის პარტია. ჩვენზე ზრუნავს ჩვენი საუკეთესო მეგობარი დიდი სტალინი. ჩვენ გვიქმნიან ყოველგვარ პირობას, სწავლისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის, – ამბობს სიცოცხლით სავსე 14 წლის გოგონა, – პირობას ვიძლევი გავამართლო ეს მზრუნველობა და ყურადღება"...

## მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

აი ასე. უფროსი თაობისთვის, გასაკვირი ამ სტრიქონებში, არაფერია, თავის თავზეც გამოუცდიათ. ბოლოს და ბოლოს, რაც და როგორც საჭირო იყო, იდეოლოგიის მსახურნი დაწერდნენ ყველაფერს შენს მაგივრად. ცხადია, იმას ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვის გაახმოვანებდნენ. მზია კი სწავლაშიც და სპორტშიც ფრიადოსანი, საერთოდ სამაგალითო მოსწავლე იყო.

დედის მშობლებთან გაატარა მზიამ მეორე მსოფლიო ომის წლები. როგორც ვთქვით, დედის კვალს მიაგნო და ერთადერთი, რაც იმ წლებში შვილს მშობელთან, დედას კი შვილთან აკავშირებდა, იყო რვეულის ფურცლებზე დაწერილი ბარათები. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ ყოველ წერილს, ორივე მხრიდან, უმკაცრესად აკონტროლებდა ცენზურა.

როგორც ყველა მოზარდი, მზიაც იმდროინდელი იდეოლოგიით ყალიბდებოდა. ისიც იცოდა, გრძნობები როგორ მოეთოკა დედისადმი გაგზავნილ ბარათებში. თუმცა, მშობლების კალთას მოწყვეტილს, უნდოდა თუ არა, ყველას მსგავსად, ბედნიერ ბავშვობაზე უნდა ელაპარაკა, შეჯიბრებებზე ნანახ-განცდილიც კი იდეოლოგიური პრიზმით უნდა წარმოეჩინა. ზემოთქმულის დასტურად, მოდით, ერთად წავიკითხოთ ამონარიდი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" 1941 წლის ერთ-ერთი ნომრიდან:

„წელს საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მ. ჯუღელი პირველ ადგილზე გამოვიდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ლენინგრადში საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნეს.

ომის მძიმე წლებს ქვეყნის ცხოვრებაში, მართალია, შეჰქონდა კორექტივები, მაგრამ საქმიანობა არ შეწყვეტილა არც ერთ სფეროში. ვითარდებოდა სპორტიც. ოღონდ, შეჯიბრებების სიხშირემ, რაღა თქმა უნდა, იკლო. მზია განაგრძობდა დაოსტატებას, სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო და უეჭველად მისწვდებოდა დიდ სპორტულ სიმაღლეებს. გარდა ტანვარჯიშისა, სისტემატურად მონაწილეობდა მძლეოსნობაში, ცურვაში და კოშკურიდან წყალში ხტომაში საქართველოს პირველობებში.

1945 წლიდან დაიწყო ნაოცნებარის ასრულება. იმ წელს მოსკოვში გამოვიდა როგორც მაშინ უწოდებდნენ – საკავშირო თანრიგით „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში და მრავალჭიდში პირველობა მოიპოვა დიდი უპირატესობით. თანაც ასპარეზობა პირველად ღია არენაზე, ცისქვეშ ჩატარდა. ეს გამარჯვება მზიას უმაღლესი თანრიგით გამოსვლის უფლებას ანიჭებდა. აქ კი მისი მეტოქეები უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული ოსტატები, უპირველესად გალინა ურბანოვიჩი და ტატიანა კამენსკაია იყვნენ.



მოსკოვი. 1945 წ. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში გამარჯვებული მზია ჯუღელი (თბილისი), მეორე საფეხურზეა ტაისია დემიდენკო (კიევი), მესამეზე — გალინა ურბანოვიჩი (მოსკოვი).

ელიტაში უეცარმა შეჭრამ, მზიას მეტი რწმენა შემატა. პაექრობის უფლების მოპოვება აღიარებულ ტანმოვარჯიშეებთან, მისი და მწვრთნელების გეგმაში შედიოდა. ამიტომ, ეს მიღწევა ჩაითვალა შემდგომი წინსვლის გზაზე გადადგმულ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად. მთავარი მაინც შემდგომი სვლა ანუ ელიტაში თავის გამოჩენა იყო.

მოსკოვში გამარჯვების შემდეგ, მზია ჩვეულებრივი სერიოზულობით, მაგრამ მეტი მონდომებით ემზადებოდა უკვე მომავალი, 1946 წლის ოსტატთა პროგრამით ასპარეზობისათვის. მეტოქეები თუ ვინ იყვნენ, ზემოთ ითქვა. ისევ მოსკოვი. შეჯიბრება მზიამ, როგორც სჩვეოდა, მედიდურად და ენერგიულად დაიწყო, ოსტატთა შორის ეს ახალბედა, საოცარი სისხარტით, დახვეწილი ხელოვნებით ასრულებდა ბჯენით ხტომებს და საბოლოოდ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა – უკვე ზემოდან დაჰყურებდა ურბანოვიჩსა და კამენსკაიას. მაგრამ გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. ბჯენით ხტომებში ოთხი ცდა იყო მაშინ – ორი სავალდებულო, ორი – ნებისმიერი. საოცრება კი ის იყო, რომ ოთხივე ცდისას, მზიამ უმაღლესი შეფასება – 10-10 ქულა დაიმსახურა.

განსაკუთრებით თავზარდამცემი აღმოჩნდა ახალბედასთან მარცხი გალინა ურბანოვიჩისათვის. ამ ტანმოვარჯიშეს 1943 წელს მოგებული ჰქონდა ქვეყნის პირველობა ბჯენით ხტომებში, 1944 წელს მას რაისა ზაალიშვილმა ჩამოართვა პირველობა, ახლა კი მეორე თბილისელის მზია ჯუღელის „მსხვერპლი" გახდა. ეს უკვე საქართველოს ქალთა ტანვარჯიშის დიდ ორბიტაზე გასვლას მოასწავებდა.



მოსკოვი. 1945 წ. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში მონაწილენი. მარცხნიდან: აჯატულა იბადულაევი (კიევი), გალინა ურბანოვიჩი (მოსკოვი), მზია ჯუღელი, კოკა თაყაიშვილი (ორივე — თბილისი)...

**თენგიზ ბაჩიჩილაძე**

*დასაწყისი იხ. „ლელო" №40-41, 43-45, 47.*

*გაგრძელება იქნება*

# მიხაელ შუმახერი, კვლავ უბადლოა

ფორმულა-1

**მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა „ნიურბურგრინგის" ტრასაზე „ევროპის გრან-პრი" მოიგო, რითაც კარიერაში 49-ე გამარჯვება მოიპოვა.**

ერთ-ერთ მოთელვით წრეზე ჩემპიონის ბოლიდი მწყობრიდან გამოვიდა. სტარტამდე მცირე დრო რჩებოდა, ვილაცის სკუტერით შევარდა ბოქსში, გადაჯდა სამარქაფო მანქანაში და სტარტს მიუსწრო. პირველ წრეებზე არავის მისცა მისი, ლიდერის ხელყოფის საშუალება. მას კვალში „ჩაუჯდა" უმცროსი ძმა რალფი („უილიამსი") და შოტლანდიელი კულტჰარდი („მაკლარენი"). მე-12 წრემდე რბოლა მშვიდად მიმდინარეობდა — მიხაელმა ვერ მოახერხა დიდი მანძილით მოსწყვეტოდა ძმას. რალფმა იგრძნო, რომ ტემპის მომატებაა საჭირო, მაგრამ გადამწყვეტი მოქმედებისაგან ჯერ შორს იყო. ამასობაში მონტოიამ „გამოილვიძა" და უსწრაფესი წრე განვლო. ტრასაზე ნამდვილი ბრძოლა მაინც არ დაწყებულა: მეტოქეები, თითქოს თავს იკავებდნენ და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდნენ. რბოლის გამწვავება 30-ე წრეზე უნდა მომხდარიყო თითქოს ძმებს შორის, როცა ისინი ერთდროულად შევიდნენ ბოქსში, მაგრამ ინტრიგის შეტანა დევიდ კულტჰარდმა სცადა, როცა სოლივით „ჩაერჭო" ძმებს შორის. მაგრამ მისი „მაკლარენი" ამისათვის სათანადოდ მზად არ აღმოჩნდა და ძმებს წრეც კი არ დასჭირდათ რომ ჩამოეტოვებინოთ იგი. რბოლის მონოტურობა მსაჯებმა დაარღვიეს, როცა რალფი 10 წამით დააჯარიმეს. ამგვარად მეორე აღმოჩნდა კოლუმბიელი ხუან მონტოია. მას უფროსი შუმახერის გასწრებაც უნდოდა, მაგრამ შანსი არ დარჩა. აი დევიდ კულტჰარდმა „პიტ-სტოპის" ტაქტიკა მაქსიმალურად გამოიყენა — მესამე ადგილზე გადავიდა და ეს ადგილი შეინარჩუნა ფინიშამდე.



მიხაელ შუმახერი

ბოლო ეტაპების შედეგები ცხადჰყოფს, რომ ტრასაზე პირველობისთვის ბრძოლა მარტო „ფერარისა" და „უილიამსს" შორის მიმდინარეობს. რალფს რომ არ წაებორძიკებინა, ალბათ, მიხაელს გაუჭირდებოდა ლიდერობის შენარჩუნება. კულტჰარდმა კი აღიარა, რომ მესამე ადგილი — მაქსიმუმია, რაზეც ოცნება თუ შეეძლო. ამგვარად, ეტაპზე თავი ისახელეს: 1. მიხაელ შუმახერმა (გერმანია, „ფერარი", 2. ხუან პაბლო მონტოიამ (კოლუმბია, „უილიამსი"), 3. დევიდ კულტჰარდმა (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი"), 4. რალფ შუმახერმა (გერმანია „უილიამსი"), 5. რუბენს ბარიკოლამ (ბრაზილია, „ფერარი"). ***საერთო ჩათვლა:*** 1. მ. შუმახერი — 68 ქულა. 2. კულტჰარდი — 44, 3. ბარიკოლა — 26, 4. რ. შუმახერი — 25. კონსტრუქტორთა თასი: 1. „ფერარი"-94 ქულა, 2. „მაკლარენი" — 53,3. „უილიამსი" — 37.

## ველოსპორტი ბესეტი – გამარჯვებული

კანადელმა ველომრბოლმა ლინ ბესეტმა გაიმარჯვა მრავალდღიან ველორბოლაში „Hewlett Packard", რომელიც მიმდინარეობდა აშშ-ში.



ბესეტი

1. ლინ ბესეტი (კანადა) — 27:54,40
2. იუდიტ არნდტი (გერმანია) — ჩამორჩენა 4.54
3. რასა პოლიკიავიჩუტე (ლიტვა) — ჩამორჩენა 9,55
4. პეტრა როსნერი (გერმანია) — ჩამორჩენა 11.49
5. ჟანი ლონგო (საფრანგეთი) — ჩამორჩენა 12.47

## ივანოვი – მეექვსე ტურის გამარჯვებული

**სერგეი ივანოვი გახდა „შვეიცარიის ტურის" მეექვსე ეტაპის გამარჯვებული, ფინიშის ხაზზე მან გაუსწრო ალექსანდრ ვინოკუროვს.**



ივანოვი

**VI ეტაპი**

1. სერგეი ივანოვი (რუსეთი) — 4:00.27
2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი) იგივე დრო
3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა:**

1. ვლადიმირ ბელი (იტალია) — 22:04,11
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია) — ჩამორჩენა 0.01
3. ლენს არმსტრონგი (აშშ) — ჩამორჩენა 0,25
4. მანუელ მარტინესი (ესპანეთი) — ჩამორჩენა 0.30
5. ბეატ ცბერგი (შვეიცარია) — ჩამორჩენა 0.31
6. ხუან გარატე (ესპანეთი) — ჩამორჩენა 0.39

# როგორ განთესეს ჩოგბურთელები უიმბლდონში

უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს მონაწილეთა მრავალრიცხოვანი პრეტენზიები და განთესილთა რიცხვი 16-დან 32-მდე გაზარდეს.

***ვაჟები:*** 1. პიტ სამპრასი, 2. ანდრე აგასი, (ორივე — აშშ), 3. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია). 4. მარატ საფინი (რუსეთი). 5. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), 6. ტიმ ჰენმანი (ინგლისი). 7. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი). 8. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი). 9. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი). 10. თომას ენკვისტი. 11. თომას იუჰანსონი (ორივე — შვედეთი). 12. ჟან-მიშელ გემბელი (აშშ). 13. არნო კლემანი (საფრანგეთი), 14. უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 15. როჯე ფედერერი (შვეიცარია), 16. ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელორუსია), 17. თომას ჰაასი (გერმანია), 18. მაგნუს ნორმანი (შვედეთი), 19. ნიკოლას კიფერი (გერმანია), 20. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი). 21. კარლოს მოია (ესპანეთი). 22. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი), 23. ტოდ მარტინი (აშშ). 24. ნიკოლა ესკიუდე (საფრანგეთი), 25. ალბერტ პორტასი (ესპანეთი), 26. სიონგ შალკენი (ჰოლანდია), 27. ჰიშამ არაზი (მაროკო), 28. ფრანკო სკილარი, 29. გილიერმო კორია (ორივე — არგენტინა), 30. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი), 31. ალბერტო მარტინი (ესპანეთი), 32. გასტონ გაუდიო (არგენტინა).

***ქალები:*** 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), 2. ვენუს უილიამსი, 3. ლინდსეი დევენპორტი, 4. ჯენიფერ კაპრიატი, 5. სერენა უილიამსი (ყველა — აშშ), 6. ამელი მორესმო (საფრანგეთი), 7. კიმ კლიისტერსი, 8. ჟიუსტინ ჰენინი (ორივე — ბელგია), 9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი), 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი), 11. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 12. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი), 13. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი), 14. ელენა დოკიჩი (იუგოსლავია), 15. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი), 16. სილვია ფარია-ელია (იტალია), 17. მეგანი შონესი (აშშ), 18. ანკე ჰუბერი (გერმანია). 19. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი), 20. ემი ფრეზერი (აშშ), 21. ბარბარა შეტი (ავსტრია), 22. პაულა სუარესი (არგენტინა), 23. მაგი სერნა (ესპანეთი), 24. ჰენრიეტა ნაგოვა (სლოვაკეთი), 25. ჩანდა რუბინი (აშშ), 26. ანნა კრემერი (ლუქსემბურგი), 27. ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი), 28. ლაიზა რაიმონდი (აშშ), 29. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი), 30. პატი შნაიდერი (შვეიცარია), 31. ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი), 32. ტატიანა პანოვა (რუსეთი).

ცნობილი სპორტსმენები: მონიკა სელეში (აშშ), მარი პირსი (საფრანგეთი), ანა კურნიკოვა (რუსეთი), მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) და რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) ტრავმების გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ.

# ინტერტოტოს თასი

**„რიდი“ (ავსტრია) - „ვიტ ჯორჯია“ (საქართველო) 2-1 (0-1)**

**ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ინწკირველი, თ. კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დიდმელაშვილი, გოგობერიშვილი, დოლიძე (ფეიქრიშვილი 67), გ. ყიფიანი, ადამია (არეშიძე 60), მელქაძე (კ. მეტრეველი 90).**
**რიდი: ორაზი, სტეინინგერი, ნენტვიჩი, იენკი (ფორსტერი 50), როტ ბაუერი, გლასნერი, ანგერშმიდტი, დრექსლერი, ორტლეჰნერი (ვავრა 60), რადოვიჩი, ლოუერსი.**
*გოლები:* **0-1 მელქაძე (14), 1-1 ანგერშმიდტი (17), 2-1 ლოუერსი (79).**
*გააფრთხილეს:* **გოგობერიშვილი (49).**
*გააძევეს:* **გოგობერიშვილი (67).**
*მსაჯი:* **სიპაილო (ლატვია).**

„ვიტ ჯორჯია“ ლევან მელქაძის გოლის წყალობით გათამაშების მეორე ეტაპზე გავიდა, სადაც მისი მეტოქე ფრანგული „ტრუა“ იქნება.

თვით მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ვეტერინარები მეტოქეს არ შეუშინდნენ. დასაწყისში თავად შეუტიეს, რასაც მელქაძის გოლი მოჰყვა. ცხადია, ავსტრიელებს ამით საქმე გაურთულდათ. მართალია, მასპინძლებმა დარჩენილ დროში ორი გოლი გაიტანეს და კაცნაკლულ სტუმრებს მოუგეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ ვეტერინარებმა მოახერხეს სასურველი ანგარიშის შენარჩუნება და ორი მატჩის ჯამში ტურნირში ასპარეზობას განაგრძობენ.

## პირველი ეტაპი ● საპასუხო მატჩები. 23-24 ივნისი

გლორია (რუმინეთი) — **ჯაზი (ფინეთი)** 2-1, (0-1)
რიდი (ავსტრია) — **ვიტ ჯორჯია (საქართველო)** 2-1, (0-1)
კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია) — **ტილიგული (მოლდოვა)** დ.დ. 1-3, (0-1)
ტალინი (ესტონეთი) — **ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)** 0-3, (0-2)
ჰიბერნიანი (მალტა) — **ზაგლებე (პოლონეთი)** 1-0, (0-4)
**მეტალურგსი (ლატვია)** — კორკ სიტი (ირლანდია) 2-1, (1-0)
ბილიში (ალბანეთი) — **უნივერსიტატია (რუმინეთი)** 0-1, (3-4)
**სლავენი (ხორვატია)** — ანართოსისი (კვიპროსი) 7-0, (2-0)
**პუბლიკუმი (სლოვენია)** — ორჰუსი (დანია) 7-1, (0-1)
**აიკი (შვედეთი)** — კარმარტენი (უელსი) 3-0, (0-0)
**სარტიდი (იუგოსლავია)** — დანდი (შოტლანდია) 5-2, (0-0)
**ლოზანა (შვეიცარია)** — სტ. ჯულია (ანდორა) 6-0 (3-1)
**ლოკერენი (ბელგია)** — ტოფტირი (ფარერები) 0-0, (4-2)
დენიზლი (თურქეთი) — **ჩედიკი (ბოსნია)** 3-5, (0-1)
**პობედა (მაკედონია)** — ზაგრები (ხორვატია) 1-1, (2-1)
**არტმედია (სლოვაკეთი)** — ეკრანასი (ლიტვა) 1-1, პ4-3, (1-1)
**სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი)** — გროცლინი (პოლონეთი) 4-0, (0-1)
ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) — **დინამო (მინსკი, ბელარუსი)** 1-1, (0-6)
შირაქი (სომხეთი) — **ტატაბანია (უნგრეთი)** 1-3, (3-2)
ვილიაში (აზერბაიჯანი) — **გრინდავიკი (ირლანდია)** 1-2, (0-1)

## მეორე ეტაპი, 30 ივნისი და 1 ივლისი
## საპასუხო მატჩები 7-8 ივლისი

ჩელიკი (ბოსნია) — გენტი (ბელგია)
ოდენსე (დანია) — აიკი (შვედეთი)
პსჟ (საფრანგეთი) — ჯაზი (ფინეთი)
ბაზელი (შვეიცარია) — გრინდავიკი (ისლანდია)
**ტრუა (საფრანგეთი) — ვიტ ჯორჯია (საქართველო)**
შტურმი (ავსტრია) — ლოზანა (შვეიცარია)
მეტალურგსი (ლატვია) — ჰერენვენი (ჰოლანდია)
სლავენი (ხორვატია) — ბასტია (საფრანგეთი)
პობედა (მაკედონია) — რიზესპორი (თურქეთი)
მიუნხენი 1860 (გერმანია) — სარტიდი (იუგოსლავია)
სინოტი (ჩეხეთი) — უნივერსიტატია (რუმინეთი)
სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) — ტავრია (უკრაინა)
ტილიგული (მოლდოვა) — ტატაბანია (უნგრეთი)
პუბლიკუმი (სლოვენია) — პეტრჟალკა (სლოვაკეთი)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ჰაპოელი (ხაიფა, ისრაელი)
ზაგლემბე (პოლონეთი) — ლოკერენი (ბელგია)

# უეფას თასი 2001-2002. შესარჩევი ეტაპი

## პირველი მატჩები – 9 აგვისტო. საპასუხოები – 23 აგვისტო

ბირკირკარა (მალტა) — **ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო)**
**დინამო (თბილისი, საქართველო)** — ბატე (ბორისოვი, ბელარუსი)
კოსმოსი (სან მარინო) — რაპიდი (ვენა, ავსტრია)
პელისტერი (მაკედონია) — სენტ გალენი (შვეიცარია)
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — დინამო (ტირანა, ალბანეთი)
ოლიმპია (სლოვენია) — შაფა (აზარბაიჯანი)
მიდტიულანდი (დანია) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
ტრანსი (ესტონეთი) — ელფსბორგი (შვედეთი)
ბრიუგე (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია)
გი გოტუ (ფარერებიI — ობილიჩი (იუგოსლავია)
ბრაშოვი (რუმინეთი) — მიკა (სომხეთი)
ვიკინგი (ნორვეგია) — ბროტნიო (ბოსნია)
ცსკა (კიევი, უკრაინა) — იოკერიტი (ფინეთი)
ვარდარი (მაკედონია) — სტანდარდი (ბელგია)
ჰიკ (ფინეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)
ქუიმბრან თაუნი (უელსი) — სლოვანი (სლოვაკეთი)
მარიტიმუ (პორტუგალია) — სარაევო (ბოსნია)
პოგონი (პოლონეთი) — ფილკირი (ისლანდია)
დინამო (ზაგრები, ხორვატია) — ფლორა (ესტონეთი)
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია)
აპოლონი (კვიპროსი) — ტირანა (ალბანეთი)
ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი) — არარატი (სომხეთი)
ეტელბრიუკი (ლუქსემბურგი) — ლეგია (პოლონეთი)
ზიმბრუ (მოლდოვა) — გაზიანთეფსფორი (თურქეთი)
დინაბურგი (ლატვია) — ოსიეკი (ხორვატია)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ნოვა გორიცა (სლოვენია)
ტორსჰავნი (ფარერები) — გრაცერი (ავსტრია)
ატლანტასი (ლიტვა) — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი)
პუხორი (სლოვაკეთი) — სლიმა უონდერერსი (მალტა)
ლონგფორდ თაუნი (ირლანდია) — ლოვეჩი (ბულგარეთი)
ბრონდბიუ (დანია) — შელბურნი (ირლანდია)
სანტა კოლომა (ანდორა) — პარტიზანი (იუგოსლავია)
მაკაბი (თელავივი, ისრაელი) — ქალგირისი (ლიტვა)
შახტიორი (ბელარუსი) — ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
მიუპა (ფინეთი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)
დებრეცენი (უნგრეთი) — ნისტრუ (ოტაჩი, მოლდოვა)
პოლონია (პოლონეთი) — ლანსანტფრეიდი (უელსი)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — აეკ (საბერძნეთი)
რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) — ბელშინა (ბელარუსი)
ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) — დუნაფერი ან ფერენცვაროში (უნგრეთი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ვარტექსი (ხორვატია)

# ბრიტანელი, მალტელი და ყოფილი საბჭოელი

ჟენევაში გამართულმა ევროთასების წილისყრამ ქართულ კლუბებს პირველ, საკვალიფიკაციო ეტაპზე, არც ძალიან სუსტი და არც ძალიან ძლიერი მოტოქეები არგუნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველ ბარიერს სამივე კლუბი დასძლევს და ევროტურნირებში ასპარეზობას განაგრძობს. ჩემპიონთა ლიგაში, ქუთაისი „ტოორპედოს“ ქართული გუნდების ძველი ნაცნობი ჩრდილოეთ ირლანდიური „ლინფილდი“ შეხვდა. 1993-94 წლებში ეს კლუბი თბილისის „დინამოს“ ეთამაშა და ორი შეხვედრის ჯამში 2-3 დამარცხდა (1-2, 1-1), 1999/2000 წლებში თბილისის „ლოკომოტივმა“ აჯობა ირლანდიელებს 2-1 (1-0, 1-1). საუკუნეზე მეტია „ლინფილდი“ ჩრდილოეთ ირლანდიის საუკეთესო გუნდია. ეროვნულ ჩემპიონატში მოპოვებულ ტიტულებს თვლა არა აქვს, მაშინ, როცა ევროპულ სარბიელზე ჩვენი კლუბებისა არ იყოს, ბრიტანელებს სატრაბახო ბევრი არაფერი აქვთ. უეფას თასზე თბილისის „ლოკომოტივს“ და „დინამოს“ შესაბამისად მალტური „ბირკირკარა“ და ბელარუსული „ბატე“ შეხვდათ. სპეციალისტთა აღიარებით რკინიგზელებს ქართული კლუბებიდან ყველაზე სუსტი მეტოქე ჰყავს, თუმცა ეს არ უნდა იძლეოდეს დამშვიდების საბაბს. ხელწამოსაკრავი, არც ბელორუსული გუნდია. „ბატე“ ეროვნულ ჩემპიონატში ჩინებულად გამოდის და ცხრა ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია.

ახალ სეზონს ევროთასებით დავიწყებთ. 11 ივლისს „ტორპედო“ ბელფასტში ითამაშებს. უეფას თასის მატჩები კი აგვისტოში გაიმართება. წილისყრის შედეგებს ქვემოთ გთავაზობთ:

ჩვენი კლუბების სათასო მონაგარი ასეთია: ევროპულ ტურნირში „ტორპედო“ მეოთხედ ითამაშებს. ინტერტოტოდან დაწყებული ჩემპიონთა ლიგით დამთავრებული (1998-2001) ქუთაისელებმა ევროპაში 10 მატჩი ჩაატარეს, 5 მოიგეს, ერთი ფრედ დაამთავრეს და 4 წააგეს. ბურთების სხვაობა 21-16; „ლოკომოტივი“ უეფას თასზე მესამედ გამოვა, მისი შედეგები (1999-2001 წლებში) მოკრძალებულია, 6 თამაშიდან რკინიგზელებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს და აგრეთვე ფრედ ითამაშეს „ტორპედოს“ წლევანდელ მეტოქე „ლინფილდთან“ დანარჩენი ოთხი მატჩი კი წააგეს, ბურთების სხვაობაც უარყოფითია, 2-14; ყველაზე გამოცდილი, რა თქმა უნდა, „დინამოა“ ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის დღიდან (1993-2001 წლები) „დინამო“ ევროთასებზე მეცხრედ ითამაშებს. ამ ხნის განმავლობაში 34 თამაშიდან, 15 მოგება, 7 ფრე და 12 წაგება, ბურთების სხვაობა მასაც უარყოფითი აქვს 41-50, როგორც ხედავთ, „დინამო“ მეტნაკლები წარმატებით თამაშობდა ევროპაში, ბელარუსულ კლუბთანაც აქვს ნათამაშები (1997-98 წლები): უეფას თასზე მპკც დაამარცხა (1-1, 1-0); „დინამო“ პირველ მატჩს შინ გამართავს 9 აგვისტოს, „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ კი სტუმრად ითამაშებენ.

**საბა ლომინაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2000-2002. პირველი შესარჩევი ეტაპი
## პირველი მატჩები – 11 ივლისი. საპასუხოები – 18 ივლისი.

1. ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — ჟელეზნიჩარი (სარაევო, ბოსნია)
2. ლინფილდი (ბელფასტი, ჩრდ.ირლანდია) — **ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)**
3. რეიკიავიკი (ისლანდია) — ვლაზნია (შკოდერი, ალბანეთი)
4. სლოგა იუგომაგნატი (სკოპიე, მაკედონია) — კაუნასი (ლიტვა)
5. ვაგური (ფარერები) — სლავია (მოზირი, ბელარუსი)
6. ბოჰემიანსი (დუბლინი, ირლანდია) — ლევადია (მაარდუ, ესტონეთი)
7. ბერი თაუნი (უელსი) — შამქირი (აზერბაიჯანი)
8. ვალეტა (მალტა) — ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი)
9. დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — სკონტო (რიგა, ლატვია)
10. არაქსი (არარატი, სომხეთი) — შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა).

## ჩემპიონთა ლიგა 2001-2002. მეორე შესარჩევი ეტაპი
## პირველი მატჩები – 25 ივლისი. საპასუხოები – 1 აგვისტო

**2 წყვილის გამარჯვებული — კოპენჰაგენი (დანია)**
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — 10 წყვილის გამარჯვებული
შახტარი (დონეცკი, უკრაინა) — ლუგანო (შვეიცარია)
დუნაფერი ან ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)
6 წყვილის გამარჯვებული — ჰალმსტადი (შვედეთი)
ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)
8 წყვილის გამარჯვებული — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
1 წყვილის გამარჯვებული — ბრანი (ბერგენი, ნორვეგია)
გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) — 3 წყვილის გამარჯვებული
პორტუ (პორტუგალია) — 7 წყვილის გამარჯვებული
სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — 4 წყვილის გამარჯვებული
9 წყვილის გამარჯვებული — ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი)
5 წყვილის გამარჯვებული — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
მარიბორი (სლოვენია) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)

# სეზონს სახელოვან ფეხბურთელთა ხსოვნის ტურნირის ფინალისტები დახურავენ

ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, მაგრამ მიხეილ მესხის (1986 წელს დაბადებულთა), სლავა მეტრეველისა (1987) და გივი ჩოხელის (1985 წ) სახელობის თასების გათამაშება გრძელდებოდა და ახლა ფინალების დღეც მოახლოვდა. სამივე ტურნირში ფინალები ტრადიციულად ივნისის ბოლო კვირაში იმართება. უმთავრეს მატჩებში დედაქალაქის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

**გუშინ** „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს მიხეილ მესხის თასს ეცილებოდნენ: „ავაზა“ და „მერანი“.

**დღეს** სლავა მეტრეველის თასის ფინალში ეროვნულზე შეხვდებიან: „ავაზა“ და „დერბი“.

**ხვალ.** გივი ჩოხელის თასის ფინალში, ფეხბურთელის დაბადების დღეს, თელავში თ. სულაქველიძის სახელობის აკადემიის გუნდი და „მთვარის გლობუსი“ ითამაშებენ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საფეხბურთო კლუბ რუსთავის „ხალიბის“ მთავარი მწვრთნელი მურმან ბობოლაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს სფფ-ს აღმასკომის წევრს ოთარ ჭითინავას დედის**

**ლოლა ძირიას**

**გარდაცვალების გამო**

დაკრძალვა 26 ივნისს, სამშაბათს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაში.

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ოთარ ჭითინავას დედის გარდაცვალების გამო.**

# მილოცვა



# მიხეილ ქიაურელი 60 წლისაა

სასიქადულო მამულიშვილს, ცნობილ კინორეჟისორს მიხეილ ჭიაურელს 60 წელი შეუსრულდა.

ფეხბურთის დიდ ქომაგს არაერთი შესანიშნავი ფილმი აქვს გადაღებული ქართველ ფეხბურთელებზე. მისმა მახვილმა თვალმა, რეჟისორულმა ალღომ მრავალი ფეხბურთის ოსტატი აღბეჭდა ფირზე და შექმნა ქართული ფეხბურთის კინომატიანე. მისი უშუალო თაოსნობით და ხელმძღვანელობით წლეულს, 26 მარტს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გამოვლინდნენ ჩვენი ქვეყნის საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელები.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ბატონი მიხეილი დღესაც მხნედ გამოიყურება და ყოველდღიურად ვარჯიშობს დილმის საწვრთნელ ბაზაზე მეგობარ ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად, დაულალავად აგრძელებს საშვილიშვილო საქმეს, ქმნის ახალ ფილმებს და შთამომავლობას უტოვებს ქართული ფეხბურთის ვიზუალურ ისტორიას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი ულოცავს ჩინებულ პიროვნებას საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,**
**ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი,**
**ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## საქართველოს 2001-02 წლების XIII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი (პროექტი)

### I ეტაპი

**I წრე**

***I ტური, 28. VII, შაბათი***
1. ტორპედო ქუთაისი — ლოკომოტივი თბილისი
2. კოლხეთი-1913 ფოთი — სამგურალი წყალტუბო
3. გურია ლანჩხუთი — მერანი-91 თბილისი
4. სიონი ბოლნისი — დინამო თბილისი
5. გორდა რუსთავი — ვიტ-ჯორჯია თბილისი
6. დინამო ბათუმი — მეტალურგი ზესტაფონი

***II ტური, 4 .VIII, შაბათი***
1. ლოკომოტივი — მეტალურგი
2. დინამო თბ. — გორდა
3. სამგურალი — გურია

***5. VIII, კვირა***
4. ტორპედო — კოლხეთი-1913
5. მერანი-91 — სიონი
6. ვიტ-ჯორჯია — დინამო ბთ.

***III ტური, 12 .VIII, კვირა***
1. კოლხეთი-1913 — ლოკომოტივი
2. გურია — ტორპედო
3. სიონი — სამგურალი
4. გორდა — მერანი-91
5. დინამო ბთ. — დინამო თბ.
6. მეტალურგი — ვიტ ჯორჯია

***IV ტური, 18.VIII, შაბათი***
1. ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
2. დინამო თბ. — მეტალურგი
3. სამგურალი — გორდა
4. ტორპედო — სიონი
5. კოლხეთი-1913 — გურია

***19. VIII, კვირა***
6. მერანი-91 — დინამო ბთ.

***V ტური, 26. VIII, კვირა***
1. სიონი — კოლხეთი-1913
2. გორდა — ტორპედო
3. დინამო ბთ. — სამგურალი
4. მეტალურგი — მერანი-91

***27. VIII, ორშაბათი***
5. გურია — ლოკომოტივი
6. ვიტ ჯორჯია — დინამო თბ.

***VI ტური, 8. IX, შაბათი***
1. ლოკომოტივი — დინამო თბ.
2. სამგურალი — მეტალურგი
3. ტორპედო — დინამო ბთ.
4. კოლხეთი-1913 — გორდა
5. გურია — სიონი

***9. IX, კვირა***
6. მერანი-91 — ვიტ ჯორჯია.

***VII ტური, 16. IX, კვირა***
1. გორდა — გურია
2. დინამო ბთ. — კოლხეთი-1913
3. ვიტ ჯორჯია — სამგურალი
4. მეტალურგი — ტორპედო

***17. IX, ორშაბათი***
5. სიონი — ლოკომოტივი
6. დინამო თბ. — მერანი-91

***VIII ტური, 22. IX, შაბათი***
1. ლოკომოტივი — მერანი-91
2. სამგურალი — დინამო თბ.
3. გურია — დინამო ბთ..

***23. IX, კვირა***
4. ტორპედო — ვიტ ჯორჯია
5. კოლხეთი-1913 — მეტალურგი
6. სიონი — გორდა

***IX ტური 30. IX, კვირა***
1. მერანი-91 — ამგურალი
2. დინამო ბთ. — სიონი
3. მეტალურგი — გურია
4. ვიტ ჯორჯია — კოლხეთი-1913

***1. X, ორშაბათი***
5. გორდა — ლოკომოტივი
6. დინამო თბ. — ტორპედო

***X ტური, 9. X, სამშაბათი***
1. ლოკომოტივი — სამგურალი
2. ტორპედო — მერანი-91
3. კოლხეთი-1913 — დინამო თბ.
4. გურია — ვიტ ჯორჯია
5. სიონი — მეტალურგი
6. გორდა — დინამო ბთ.

***XI ტური, 13. X, შაბათი***
1. დინამო ბთ. — ლოკომოტივი
2. მეტალურგი — გორდა
3. ვიტ ჯორჯია — სიონი
4. დინამო თბ. — გურია
5. მერანი-91 — კოლხეთი-1913
6. სამგურალი — ტორპედო

**II წრე**

***XII ტური, 20. X, შაბათი***
1. მერანი-91 — გურია
2. დინამო თბ. — სიონი

***21. X, კვირა***
3. ლოკომოტივი — ტორპედო
4. სამგურალი — კოლხეთი-1913
5. ვიტ ჯორჯია — გორდა
6. მეტალურგი — დინამო ბთ.

***XIII ტური, 27. X, შაბათი***
1. მეტალურგი — ლოკომოტივი
2. დინამო ბთ. — ვიტ-ჯორჯია
3. გორდა — დინამო თბ.
4. სიონი — მერანი-91
5 გურია — სამგურალი
6. კოლხეთი-1913 — ტორპედო.

***XIV ტური, 4 . XI, კვირა***
1. ლოკომოტივი — კოლხეთი-1913
2. ტორპედო — გურია
3. სამგურალი — სიონი
4. მერანი-91 — გორდა
5. ვიტ ჯორჯია — მეტალურგი

***5. XI, ორშაბათი***
6. დინამო თბ. — დინამო ბთ.

***XV ტური, 9 . XI, პარასკ.***
1. ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
2. მეტალურგი — დინამო თბ.
3. დინამო ბთ. — მერანი-91
4. გორდა — სამგურალი
სიონი — ტორპედო
გურია — კოლხეთი-1913

***XVI ტური, 17. XI, შაბათი***
1. დინამო თბ. — ვიტ ჯორჯია
2. კოლხეთი-1913 — სიონი
3. ტორპედო — გორდა
4. სამგურალი — დინამო ბთ.
5. მერანი-91 — მეტალურგი

***18 . XI, კვირა***
6. ლოკომოტივი — გურია

***XVII ტური, 24. XI, შაბათი***
1. დინამო თბ. — ლოკომოტივი
2. მეტალურგი — სამგურალი
3. დინამო თ. — ტორპედო
4. გორდა — კოლხეთი-1913
5 სიონი — გურია

***25. XI, კვირა***
6. ვიტ ჯორჯია — მერანი-91

***XVIII ტური, 29. XI, ხუთშაბათი***
1. გურია — გორდა
2. კოლხეთი-1913 — დინამო ბთ.
3. ტორპედო — მეტალურგი
4. სამგურალი — ვიტ ჯორჯია
5. მერანი-91 — დინამო თბ.

***30. XI, პარასკევი***
6. ლოკომოტივი — სიონი.

***XIX, ტური, 2. III, შაბათი***
1. მერანი-91 — ლოკომოტივი
2. დინამო თბ. — სამგურალი
3. ვიტ ჯორჯია — ტორპედო
4. მეტალურგი — კოლხეთი-1913
5. დინამო ბთ. — გურია
6. გორდა — სიონი

***XX ტური, 10. III, კვირა***
1. ლოკომოტივი — გორდა
2. სიონი — დინამო ბთ.
3. გურია — მეტალურგი
4. კოლხეთი-1913 — ვიტ ჯორჯია
5. ტორპედო — დინამო თბ.
6. სამგურალი — მერანი-91

***XXI ტური, 7. III, კვირა***
1. სამგურალი — ლოკომოტივი
2. მერანი-91 — ტორპედო
3. დინამო თბ. — კოლხეთი-1913
4. ვიტ ჯორჯია — გურია
5. მეტალურგი — სიონი
6. დინამო ბთ. — გორდა

***XXII ტური, 22. III, პარასკ.***
1. ლოკომოტივი — დინამო ბთ.
2. გორდა — მეტალურგი
3. სიონი — ვიტ ჯორჯია
4. გურია — დინამო თბ.
5. კოლხეთი-1913 — მერანი-91
6. ტორპედო — სამგურალი

*თასების დღეებია: 12, 26 სექტემბერი, 16, 31 ოქტომბერი, 13 ნოემბერი, 4, 8 დეკემბერი. 24 თებერვალი, 6 მარტი.*

# ბავშვთა ფეხბურთი

## ალექსანდრე კოტრიკაძის ხსოვნის ტურნირი


«შევარდენი»

რობერტ ბაგოიანის ფოტოები


«დინამო»

„შევარდენი 1906" საფეხბურთო სკოლაში ჩატარდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის და მწვრთნელის ა. კოტრიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში 1989-90 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის. მონაწილეობდა 10 გუნდი. ნახევარფინალებში „შევარდენმა" დაამარცხა რუსთავის „გორდა" 4-2. „საბურთალომ" კი „ოლიმპიკი" პენალტებით 6-5. ფინალში „შევარდენმა" (მწვრთნელები ვაჟა ხუბეჯაშვილი, ბადრი მანწკავა) მოუგო საბურთალოს" 2-1. 1988-89 წლიანთა შორის კი პირველობა მოიპოვა „დინამომ". მეორე იყო „შევარდენი"-1, მესამე — „შევარდენი"-2. საუკეთესო მეკარედ დაასახელეს ბაჩო ჩაფიძე, საუკეთესო მცველად — გურამ მაქაძე, საუკეთესო ფეხბურთელად — გიორგი ვარდოსანიძე.

## 6 თვის „საბურთალო" ფეხზე მყარად დგას

„საქართველოს მომავალი — ჩვენი ბავშვებია" — აცხადებენ მრეწველები. სწორედ მათი თანადგომით ჩატარდა დედაქალაქის 1990 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი, რომელსაც ნაძალადევის რაიონის სპორტკლუბ „გეორგიას" სტადიონმა უმასპინძლა. მონაწილეობდა 16 გუნდი.

ნახევარფინალში „საბურთალოს" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა 3-0 დაამარცხა „იბერია" და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ნახევარფინალში „გეორგიამ" 1-0 სძლია ავაზელ თანატოლებს. მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში „საბურთალომ" (მწვრთნელი კობა მჟავანაძე) 2-0 მოუგო „გეორგიას". მესამე ადგილზე გავიდა „იბერია", რომელმაც პენალტების სერიით 5-3 აჯობა „ავაზას".

აღსანიშნავია, რომ „საბურთალოს" სკოლა სულ რაღაც 6 თვეა გაიხსნა (დირექტორი კახა ჭუმბურიძე) და აქაური ჭაბუკები უკვე წარმატებით ასპარეზობენ ტურნირებში.

ტურნირის შემდეგ გამოავლინეს საუკეთესონი. ესენია: მეკარე — მერაბ ახობაძე („იბერია"), მცველი — გიორგი ბაზალელი („ავაზა"), ნახევარმცველი — გიორგი სალარიძე (საბურთალო), თავდამსხმელი — მამუკა ხურცკალია („იბერია"), ბომბარდირი — ლევან სალაყაია (15 გატანილი გოლ „ „საბურთალო").

საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა ზურაბ ტაველიშვილი („საბურთალო"), მწვრთნელთა სიმპათია — ირაკლი რურუა, პერსპექტიული მოთამაშე — ტატო გვალია, საუკეთესო მწვრთნელი — კობა მჟავანაძე (სამივე — საბურთალო).

*სურათზე მარცხნიდან I რიგში: გ. ტურაშვილი, გ. წამალაშვილი, ბ. ქარსელაძე, გ. ფანქველაშვილი, გ. ბოჭორიშვილი, გ. ბარბაქაძე; II რიგში: მწვრთნელი კობა მჟავანაძე, ლ. სალაყაია, ვ. რაზმაძე, გ. შარიქაძე, ბ. ჯაფარიძე, ბ. გრძელიშვილი, ნ. ჭუმბურიძე; III რიგში: გ. სალარიძე, ტ. გვალია, ბ. გოგოლაძე, ლ. კალმახელიძე, ი. რურუა, ზ. კიკაბიძე, ი. ოთინაშვილი, ა. რევიშვილი; მათ გარდა გუნდის წევრები არიან: ზ. ტაველაშვილი, გ. სარაჯიშვილი, გ. ალავიძე.*


რობერტ ბაგოიანის ფოტო

«საბურთალო»

# მატჩი ჩაიშალა! SOS

ის, რაც ზეიმად და დღესასწაულად უნდა ქცეულიყო, ჩაფლავდა ერთი არამზადის უმსგავსო საქციელის გამო.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშების ფინალური მატჩი მიმდინარეობდა „ლოკომოტივის" სტადიონზე, თითქოს ასაღელვებელი და საეჭვო არაფერი იყო, ჩინებული მინდორი, კარგი თამაში, მეტი რა უნდა გულშემატკივარს, მაგრამ არსებობს კატეგორია იმ ხალხისა, ვინც მხოლოდ ცუდს ხედავს ყველაფერში, ასე იყო, სამწუხაროდ, ამჯერადაც.

თბილისის გუნდების „ავაზასა" და „მერანის" მატჩის 70-ე წუთზე, მაშინ როცა ანგარიში 2-1 იყო „მერანის" სასარგებლოდ, უპრეცედენტო ფაქტი მოხდა. გვერდითი მსაჯის ზურაბ დოლიძის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ერთ-ერთი ვაიგულშემატკივარი დამცავლობეს გადაევლო, მსაჯს მიეჭრა და წიხლი ჩასცხო, მატჩი შეწყდა და აღარც განახლებულა. ზურაბ დოლიძემ მძიმე ტრავმა მიიღო, მას ორ ადგილას აქვს ხელი მოტეხილი. ჭაბუკთა ტურნირი, რომელიც უდიდესი ფეხბურთელის სახელს ატარებს და უპირველესად ახალი თაობის აღზრდას უნდა ემსახურებოდეს, ხულიგნების სათარეშო და ანგარიშსწორების ადგილად იქცა. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი სისაძაგლე ხშირად მომხდარა ჭაბუკთა სხვადასხვა რანგის ტურნირში. ფეხბურთელთა მშობლებისა თუ ვითომ გულშემატკივრების წაქეზებით ნადგურდება ახალგაზრდობის ფსიქიკა, ყოველივე მათ თვალწინ ხდება და ამას ბოლო არ უჩანს. არადა, მატჩი კორექტულად, წესების დაცვით მიმდინარეობდა, არც მსაჯობა დაიწუნებოდა. შეხვედრა, რომელსაც გამარჯვებული სპორტულ პაექრობაში უნდა გამოევლინა, ახლა სადისციპლინო კომიტეტის გასარჩევი გახდა. სამწუხარო და დამაფიქრებელი ფაქტია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ახალგაზრდებს შორის

**დასრულდა შესარჩევი მატჩები ჯგუფებში და გამოვლინდნენ მერვედფინალის მონაწილეები.**

### A ჯგუფი

არგენტინა — იამაიკა 5-1
ფინეთი — ეგვიპტე 1-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 14-2 | 9 |
| ეგვიპტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-8 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| იამაიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### B ჯგუფი

ბრაზილია — კანადა 2-0
გერმანია — ერაყი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| ერაყი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-9 | 3 |
| კანადა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |

### C ჯგუფი

აშშ — უკრაინა 1-1
ჩინეთი — ჩილე 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |

### D ჯგუფი

ანგოლა — ავსტრალია 1-1
ჩეხეთი — იაპონია 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანგოლა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |

### E ჯგუფი

ეკვადორი — კოსტა-რიკა 0-1
ეთიოპია — ჰოლანდია 2-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| ეკვადორი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| ეთიოპია | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |


ეკვადორი — კოსტა-რიკა


ჰოლანდია — ეთიოპია

### F ჯგუფი

განა — საფრანგეთი 0-0
პარაგვაი — ირანი 2-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 7-2 | 5 |
| პარაგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ირანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-8 | 0 |

**მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:**

**აშშ — ეგვიპტე**
**საფრანგეთი — გერმანია**
**არგენტინა — ჩინეთი**
**ბრაზილია — ავსტრალია**
**უკრაინა — პარაგვაი**
**განა — ეკვადორი**
**ანგოლა — ჰოლანდია**
**კოსტა რიკა — ჩეხეთი**

*მატჩები გაიმართება 27 და 28 ივნისს.*


საფრანგეთი — განა

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### ნორვეგია

ბრანი — მიოლდე 0-0
ლილესტრიომი — მოსი 3-0
ლინი — ტრომსო 4-0
ოდგრელანდი — ბრინი 4-1
სოგნდალი — სტრიომგოდსეტი 5-1
ვიკინგი — ბოდო გლიმტი 2-2
სტაბეკი — რუსენბორგი 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 12 | 8 | 3 | 1 | 26-13 | 27 |
| რუსენბორგი | 12 | 8 | 2 | 2 | 32-15 | 26 |
| ოდგრელან. | 12 | 7 | 2 | 3 | 25-12 | 23 |
| ლილესტრ. | 12 | 7 | 2 | 3 | 25-17 | 23 |
| სტაბეკი | 12 | 7 | 1 | 4 | 20-20 | 22 |
| ბრანი | 12 | 6 | 3 | 3 | 29-17 | 21 |
| მიოლდე | 12 | 5 | 3 | 4 | 23-19 | 18 |
| მოსი | 12 | 5 | 1 | 6 | 16-20 | 16 |
| სოგნდალი | 12 | 5 | 0 | 7 | 17-26 | 15 |
| ლინი | 12 | 2 | 4 | 6 | 17-19 | 10 |
| სტრიომგოდ. | 12 | 2 | 4 | 6 | 17-31 | 10 |
| ტრომსო | 12 | 3 | 0 | 9 | 8-22 | 9 |
| ბოდო გლიმტი | 12 | 1 | 5 | 6 | 12-22 | 8 |
| ბრინი | 12 | 2 | 2 | 8 | 13-27 | 8 |

### რუსეთი

ჩერნომორეცი — ზენიტი 1-4
როტორი — ანჟი 1-1
როსტსელმაში — ალანია 3-0
ტორპედო ზილი — ტორპედო 1-1
სატურნი — კრილია სოვეტოვი 2-0
ფაკელი — დინამო 1-2
ცსკა — სოკოლი 4-0
სპარტაკი — ლოკომოტივი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 14 | 7 | 5 | 2 | 26-13 | 26 |
| კრ. სოვეტ. | 14 | 8 | 2 | 4 | 16-8 | 26 |
| სპარტაკი | 14 | 8 | 4 | 2 | 15-10 | 28 |
| ლოკომოტ. | 14 | 7 | 3 | 4 | 21-11 | 24 |
| სოკოლი | 14 | 7 | 3 | 4 | 18-20 | 24 |
| ცსკა | 14 | 6 | 4 | 4 | 17-12 | 22 |
| ზენიტი | 14 | 6 | 4 | 4 | 19-19 | 22 |
| დინამო | 14 | 5 | 5 | 4 | 18-14 | 20 |
| ანჟი | 14 | 4 | 6 | 4 | 11-10 | 18 |
| როსტსელმაში | 14 | 5 | 2 | 7 | 13-14 | 17 |
| სატურნი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-11 | 16 |
| ალანია | 14 | 5 | 1 | 8 | 12-21 | 16 |
| როტორი | 14 | 3 | 4 | 7 | 13-19 | 13 |
| ტორპ. ზილი | 14 | 3 | 4 | 7 | 11-17 | 13 |
| ფაკელი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-17 | 12 |
| ჩერნომორეცი | 14 | 2 | 4 | 8 | 7-26 | 10 |

# ევროპის ქალთა ჩემპიონატი

გერმანიაში სტარტი აიღო ევროპის ქალთა რიგით მერვე ჩემპიონატმა. შეგახსენებთ თუ ვინ იყვნენ წინა წლების ჩემპიონები: 1984 წ — შვედეთი; 1987 წ — ნორვეგია; 1989 წ — გფრ; 1991 წ — გერმანია; 1993 წ — ნორვეგია; 1995 წ — გერმანია; 1997 — გერმანია; 1999 წ — არ გამართულა.

გუნდები დაყოფილნი არიან 2 ჯგუფად: A ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ: გერმანია, შვედეთი, რუსეთი და ინგლისი. B ჯგუფში კი — ნორვეგია, საფრანგეთი, დანია და იტალია. ჯგუფებში პირველ და მეორე ადგილზე გასული ნაკრებები აგრძელებენ ჩემპიონობისათვის ბრძოლას.


რუსეთი — ინგლისი

### A ჯგუფი

**გერმანია — შვედეთი 3-1**
**რუსეთი — ინგლისი 1-1**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

## ნიკულაე - „სპორტინგში“

რუმინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მარიუს ნიკულაემ ხელი მოაწერა პორტუგალის „სპორტინგთან“ კონტრაქტს 4 წლის ვადით. ნიკულაეს ყოფილ გუნდს ბუქარესტის „დინამოს“ ერგო 5 მილიონი დოლარი. შეგახსენებთ, რომ „სპორტინგმა“ ხელი მოაწერა აგრეთვე რუმინეთის ნაკრების მწვრთნელთან ლადისლაო ბოლონისთან.


ნიკულაე

## ზერნოვი გაანთავისუფლეს

ბოლო ტურში სანქტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ დამარცხების შემდეგ გაანთავისუფლეს ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ მწვრთნელი ვიქტორ ზერნოვი.


ვიქტორ ზერნოვი

## თქვენთვის, ერუდიტებო!

**მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის**

***1. ვინ დაასახელეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატის (1977 წელი) საუკეთესო ფეხბურთელად:***
ა) ვ. ბესონოვი,
ბ) ვ. ხიდიატულინი
გ) ა. ბალი

***2. ვინ გაიტანა ერთადერთი საპასუხო ბურთი არგენტინის ნაკრების კარში 1979 წლის ფინალში (არგენტინა — სსრკ):***
1) ო. ტარანმა
ბ) ი. პონომარიოვმა
გ) ი. გურინოვიჩმა

***3. ვინ გახდა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი:***
ა) დ. შუკერი
ბ) ზ. ბობანი
გ) რ. პროსინეჩკი

***4. რამდენი მაყურებელი დაესწრო 1991 წლის ფინალურ შეხვედრას ლისაბონში (პორტუგალია — ბრაზილია):***
ა) 78 000
ბ) 93 000
გ) 127 000

***5. ვინ გახდა 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი:***
ა) ჯ. ელბერი
ბ) ს. შჩერბაკოვი
გ) ლ. ფიგუ

წინა ნომრის პასუხები:
1 — გ 2 — გ 3 — ა 4 — ა 5 — ბ


ტორპედო — ტორპედო-ზილი

## საზოგადოებრივი ბრალმდებელი მოითხოვს

იტალიურმა სააგენტომ ანსა-მ გადასცა ცნობა, სადაც იგი საზოგადოებრივ მბრალმდებელ კარლო პორჩედუს ეყრდნობა. იგი მოითხოვს მილანის „ინტერისა“ და ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელ ალვარო რეკობას დისკვალიფიკაციას ყალბი პასპორტის გამოყენების გამო. „ინტერი“ 1,5 მილიონი დოლარით უნდა დაჯარიმდეს. პორჩედუ მოითხოვს ორი წლით დისკვალიფიკაცია მიეცეს „ინტერის“ ტექნიკურ დირექტორს ლელე ორიალის, ამ გუნდის კიდევ ერთ წარმომადგენელ რინალდო გელფის და „რომას“ სპორტულ დირექტორ ფრანკო ბალდინის, რომელიც ასევე გარეულია „რეკობას საქმეში“.

თუ ეს დადგენილება მართლაც მიიღეს, ეს მძიმე დარტყმა იქნებოდა არა მარტო რეკობასათვის, არამედ „ინტერისთვისაც“, რომელმაც ამას წინათ ურუგვაელ თავდამსხმელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პორჩედუ სხვა ფეხბურთელებსაც სდებს ბრალს, კერძოდ, „რომას“ ორ ფეხბურთელს — ბრაზილიელ ფაბიო ჟუნიორსა და არგენტინელ გუსტავო ბარტლეტს, აგრეთვე „მილანის“ მეკარე დიდას.

## სადაც არ უნდა თამაშობდეს, ყველგან სნაიპერია

**საბერძნეთის ლიგის №1 სნაიპერად 20 გოლით უკვე მესამედ გახდა 32 წლის თავდამსხმელი ალექსიოს ალექსანდრისი (ათენის „ოლიმპიაკოსი“ და საბერძნეთის ნაკრები). მან ეს წოდება უკვე მესამედ მოიპოვა, 1993-94 წლებში — ათენის აეკ-ის შემადგენლობაში, შემდეგ კი ორჯერ „ოლიმპიაკოსში“.**

# „რეალის“ 28-ე ტრიუმფი

## ესპანეთის ჩემპიონატის შედეგები

მადრიდის „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. შედეგები მართლაც შთამბეჭდავია: 80 ქულა 38 თამაშის შემდეგ, 24 მოგება, 8 ფრე და 6 წაგება, ბურთები – 84-40. ეს ყველა მონაცემებით ალე-


რაული

მატება დანარჩენი წამყვანი გუნდის შედეგებს: მეტი მოგება, ნაკლები წაგება, მეტი გატანილი გოლი, ნაკლები მიღებული... ერთი სიტყვით, „რეალი“ 28-ედ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. აქ რა უნდა იყოს უჩვეულო, გარდა იმისა, რომ იგი ჩემპიონი იყო 4 წლის წინათ. ასეთი „შესვენება“ ომის შემდგომ პერიოდში „რეალს“ სულ ორჯერ ჰქონდა: 1980-1986 და 1990-1995 წლებში. „სამეფო კლუბმა“ მართალია, 1998 წელს გაიმარჯვა, შარშანაც იგივე შეძლო, წელს ამ შეჯიბრებაში არ გაუმართლა, მაგრამ ესპანეთში დამკვიდრებული ტრადიციით „პრემიერალიგაში“ მოპოვებული წარმატება არაფრით ჩამოუვარდება ჩემპიონთა ლიგის მოგებას (იტალიაში „სკუდეტო“ ჩემპიონთა ლიგაზე მეტად ფასდება).

ამბობენ, რომ „რეალს“ უზარმაზარი ვალი აქვს. რა ვალებია ეს, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ის კი ცხადია, რომ წამყვანი მოთამაშეები დიდ გასამრჯელოს იღებენ, კლუბი მზად არის კიდევ რამდენიმე ოსტატი იყიდოს და მოლაპარაკებაც აქვს. ერთი მეტად სერიოზული საკითხი კი მადრიდელებმა უკვე მეორე წელია, რაც გადაჭრეს. მას შემდეგ, რაც ვისენტე დელ ბოსკემ „რეალში“ თამაშს თავი დაანება, იგი კლუბშივე დარჩა და სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“ – სერიოზულ მწვრთნელად მას არავინ თვლიდა. „რეალს“ სათავეში ედგნენ გერმანელი, იტალიელი, ჰოლანდიელი, უელსელი მწვრთნელები. მათ უმეტესობას (ცხადია, კაპელოს გარდა!) არაფერი გამოუვიდა. „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!“ ბოლოს „სამეფო კლუბს“ სათავეში დელ ბოსკე ჩაუყენეს და სულ მალე გაირკვა, რომ იგი არავისზე ნაკლები სპეციალისტი არ არის.

დღეისათვის ძნელი სათქმელია, რომელი წამყვანი მოთამაშე დარჩება „რეალში“ და რომელი სხვა გზას მონახავს, მაგრამ გუნდის სიმბოლოდ ქცეულ რაულს (რაულ გონსალეს ბლანკოს) რომ ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, ეს კი ფაქტია. 24 გატანილი გოლით იგი ჩემპიონატის უპირველესი სნაიპერი გახდა. მართალია, რაული დელ ბოსკეს არ აღმოუჩენია, მაგრამ ბევრი რამ რომ გააკეთა, ეს ფაქტია. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი იტალიურ ჟურნალ „გუერინ სპორტივოდან“, სტატიის ავტორი ანდრეა დე პენედეტი 50 წლის დელ ბოსკეზე ლაპარაკობს: ცოტა არ იყოს, გლეხურად უხეში, მაგრამ ბრძნულია ესპანური ანდაზა: „ცოლსა და ხარს შორი მხრიდან ნუ მოიყვან“. ფეხბურთს რომ შეეფერებოდეს, ჩვენ ცოტას გადავაკეთებდით: „სხვა მხარეში ნუ ეძებ ცოლებს, ხარებსა და მწვრთნელებს“. იმიტომ, რომ შენი ეროვნების მწვრნელები, რომელსაც კარგად იცნობ, უფრო საიმედო არიან და ნაკლებ პრობლემებსაც შეგიქმნიან. ამას ვისენტე დელ ბოსკეს ისტორიაც ამტკიცებს. „რეალი“ მთელი 7 წელიწადი ვერ ბედავდა ესპანელი მწვრთნელი მოეწვია – მას შემდეგ, რაც ბენიტო ფლორესი გაანთავისუფლეს, თუმცა გაუგებარია რისთვის – ამ დროს მადრიდელები ესპანეთის ჩემპიონატში პირველ ადგილზე იყვნენ.

ამის შემდეგ გუნდში რამდენიმე უცხოელი მწვრთნელი შეიცვალა, რომლებსაც ისიც კი არ შეეძლოთ, რომ ესპანური რბილი „ნ“ გამოეთქვათ. დელ ბოსკე უსიტყვო კაცია, თამაშს ფეხზე მდგარი ადევნებს თვალს, მოთამაშეებთან კონტაქტს თვალისშევლებით, ჟესტითა და ულვაშის მოძრაობითაც კი ამყარებს, მაშინ, როცა მისი კოლეგები წამდაუწუმ მინდვრის ხაზთან დარბიან, რათა გუნდი შეძახილებით ან რომის პაპის მსგავსი ეფექტური ფრაზებით გაამხნევონ.

დელ ბოსკე სულაც არა ჰგავს წი-


ფიგუ

ნასწარმეტყველს, თავი მოკრძალებულად, მაგრამ ღირსეულად უჭირავს, რაც პროფესიონალიზმს ჰფარავს. ის, რაც მისი ხელმძღვანელობით გუნდმა შარშანდელ სეზონში შეძლო, უპირველეს ყოვლისა, კეთილგონიერებაზე მეტყველებდა. როცა გუნდს მეკარე არა ჰყავდა, მან მოძებნა კასილიასი, თითქმის ყმაწვილი და დაავაჟკაცა იგი. როცა მადრიდელთა დაცვა საცერს დაემსგავსა და მეტოქე, როგორც სურდა, ისე სეირნობდა, დელ ბოსკემ დაარღვია იეროს უცოდვილობის დოგმატი (რომელსაც თითქოს არ შეიძლებოდა შეცდომა მოსვლოდა), თავის საჯარიმო მოედანთან ახლოს ორი დაუნდობელი „გამომძევებელი“ ივან კამპო და კარანკა განალაგა, ველგერას კი მათი მეთვალყურისა და „ბოსის“ როლი განუკუთვნა. მაშინ, როცა „რეალის“ შუა ხაზი სრულიად უსიცოცხლო გახდა, დელ ბოსკემ იდეებითა და ფანტაზიით გაამდიდრა რედონდო, თამაშის მიმართულება მისცეს მაკმანამანს, რომელიც მანამდე ისე მოქმედებდა, თითქოს ვინმემ მაინცდამაინც მინდვრის ხაზზე ყოფნა მიუსაჯაო“.

ლა-კორუნიას „დეპორტივო“ ერთხანს კი შეეცადა „რეალისათვის“ კონკურენცია გაეწია, მაგრამ შემდეგ ხელი აიღო ამ განზრახვაზე. საბოლოოდ მან 73 ქულა მოაგროვა (22 მოგება, 7 ფრე და 9 წაგება, 73-44) და საპატიო მეორე ადგილზეც გავიდა.

მესამე ადგილი „მალიორკასათვის“ (71 ქულა, 20 მოგება, 11 ფრე, 7 წაგება 64-43) უდიდესი წარმატებაა, მაშინ, როდესაც „ბარსელონამ“ მხოლოდ ბოლო ტურში მოგებით დააღწია თავი სირცხვილს, 63 ქულა დააგროვა, იმდენივე, რამდენიც „ვალენსიამ“, და მისგან განსხვავებით, უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო მოიპოვა ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის უფლება.

„ვალენსია“, ჩემპიონთა ლიგის ორი ბოლო გათამაშების ფინალისტი, ამჯერად მხოლოდ უეფას თასზე გამოვა. მეხუთე ადგილი მისთვის სერიოზული მარცხია. კიდევ უარესია ის, რომ „ვალენსიამ“ დაკარგა „ყველა გამარჯვების ორგანიზატორი“, დიდებული არგენტინელი სპეციალისტი ექტორ რაულ კუპერი. სადაც კი კუპერს უმუშავია, ყველგან დიდ წარმატებებს აღწევდა. მისი მიღწევები ადრეული ასაკიდან დაიწყო, როცა „ფეროკარილ ოესტეში“ თამაშობდა, მაშინ ეს მანამდე ნაკლებად ცნობილი არგენტინული კლუბი ორჯერ გახდა ქვეყის ჩემპიონი. როცა „მალიორკას“ წვრთნიდა, კლუბმა ესპანეთის სუპერთასი მოიგო და თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა. „ვალენსიაში“


ვისენტე დელ ბოსკე

მიღწეული წარმატებები კი საყოველთაოდ არის ცნობილი.

აი ჩემპიონატის სნაიპერების პირველი ათეული: 1. რაული – 24. 2. რივალდო („ბარსელონა“) – 23. 3. ხავი მორენო („ალავესი“ – 22), 4. დიეგო ტრისტანი („დეპორტივო“) – 19. 5. პატრიკ კლუივერტი („ბარსელონა“) – 17. 6-8 დელი ვალდესი („მალაგა“), კატანია („სელტა“), [illegible] („დეპორტივო“) – 16-16. 9. ოლი („ოვიედო“) – 15. 10-11. გუტი („რეალი“) და ვიქტორი („ვალიადოლიდი“) – 14-14 გოლი.

ბიძი ბამრეკელი

# ლანდრო

## „კანარის ჩიტებიდან“ „სამფეროვანთა“ ნაკრებისაკენ

**1995 წელს „ნანტი“ საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მომდევნო სეზონში კი თითქმის ყველა მატჩს აგებდა. ამაში დამნაშავეები, პირველ ყოვლისა, მეკარეები დომინიკ კასაგრანდი და ერიკ ლუსუარნი იყვნენ. ერთს გულშემატკივრები „გონებაჩლუნგს“ უწოდებდნენ, მეორეს – „კიდევ უფრო გონებაჩლუნგს“. „დამღუპავენ, აბა რას იზამენ“ – თქვა ბრძენმა მწვრთნელმა ჟანკლოდ სიუდომ. მეკარეთა სუსტი თამაში ყველა სხვა რგოლსაც ეტყობოდა, და, სანამ დრო იყო, მწვრთნელსაც რაღაცა უნდა ეღონა.**

**და აი, ერთ მშვენიერ დღეს „ნანტის“ კარში გამოჩნდა 17 წლის ჭაბუკი.**

**ამის შემდეგ იგი უცვლელად იცავს ბრიტანელი „კანარის ჩიტების“ კარს. თანაც როგორ!**

მიქაელ ლანდრო დაიბადა 1979 წლის 14 მარტს. 183 სმ სიმაღლისაა და 80 კგ იწონის. პირველი მატჩი „ნანტში“ სტუმრად „ბასტიას“ წინააღმდეგ (0-0) 1996 წლის 2 ოქტომბერს ჩაატარა. დღეისათვის საფრანგეთის ჩემპიონატში უკვე 159 შეხვედრა გამართა, 14 მატჩი ევროთასებზე, 1 – საფრანგეთის ნაკრებში. 1999 და 2000 წლებში საფრანგეთის თასს დაეუფლა, 2001 წელს კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. 19 წლისაც არ იყო, „ნანტის“ კაპიტნად რომ აირჩიეს. 1999-2000 წლების სეზონში „ნანტს“ მეტისმეტად გაუჭირდა. აი მაშინ იყო, რომ მწვრთნელმა რეინალდ დენუეიმ (სიუდომ გადაწყვიტა ასაკის გამო ფეხბურთისათვის თავი დაენებებინა) თქვა: „დიდებული მეკარე რომ არა, მეორე დივიზიონს თავს ვერ დავაღწევდით“.

ადრინდელის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლა ცხადია, რომ ფრანგებს არაერთი მშვენიერი გოლკიპერი ჰყავთ, მეკარეების კარგი სკოლა შეიქმნა. იმასაც ამბობენ, რომ მიქაელ ლანდროს ყველა იმ კარგი მეკარისა რაღაცა სცხია: ლამას მსგავსი რეაქცია აქვს, ბარტეზის საზრიანობა, ბატსისებური რწმენა, მარტინის მსგავსი მონდომება. ერთი სიტყვით, ლანდრო ახლა ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება არა მარტო საფრანგეთში, ასე გასინჯეთ, ევროპაშიც კი. საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში რომ სისტემატურად თამაშობს, ამას წინათ, კონფედერაციის თასზე ძირითად ნაკრებშიც ითამაშა, მექსიკელების წინააღმდეგ.

როგორც ყველა სხვა მეკარეს, ლანდროსაც აქვს ხარვეზები, ზოგიერთი ნაკლი. მათ შორის, იგი ყველაზე უფრო მეტად... ავტოგოლებს აღნიშნავს. ეს, თუ გნებავთ, დიდი უიღბლობაა: „ბურთი კარში შევარდა... ჩემი ხელიდან და პასივში ჩამეთვალა. მართალია, ეს განზრახ არ გამიკეთებია, მაგრამ ძალზე უსიამოვნო გრძნობა მაინც დამრჩა“.

ახლა, როცა კარგი სახელის მქონე ახალგაზრდა მეკარეები, რაც შეიძლება, მდიდარ კლუბებს ეძებენ, მიქაელ ლანდრო ყველას უარს ეუბნება. მას ლონდონის „არსენალიც“ იწვევდა, „მილანიც“, სხვა კლუბებიც, მაგრამ ლანდროს გაგონებაც არა სურს. არც ისე დიდი ქალაქი ნანტი, ევროპულ გრანდად აღიარებული კლუბი „ნანტი“ მას ყველაფერს ურჩევნია, თუმცა რა თქმა უნდა, „შეტევა“ ამ ნიჭიერ ახალგაზრდა მეკარეზე შემდგომშიც გაგრძელდება და შეეცდებიან დაუმტკიცონ, რომ მას უფრო დიდ ასპარეზზე შეეფერება გამოსვლა.

როგორც კი 2000-2001 წლების სეზონი დამთავრდა, ლანდრო არაერთ ფრანგ ჟურნალისტს შეხვდა. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს მის მრავალრიცხოვანი ინტერვიუებიდან.

● ***შარშანდელ სეზონში „ნანტი“ ამავე შემადგენლობით გამოდიოდა და ძლივს შეინარჩუნა ადგილი პირველ დივიზიონში. ხომ არ იყო შიშის გრძნობა, რომ ეს გარემოება ფეხბურთელებზე სამუდამოდ დამთრგუნველად იმოქმედებს?***

— ის, რაც შარშან მოხდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ფეხბურთში კოლექტივი იმარჯვებს, პირადმა ამბიციებმა კი უკან უნდა დაიხიოს.

● ***წინასასეზონო შეკრება ავსტრიაში გაიარეთ. როგორ იმოქმედა ამან გუნდის თამაშზე?***

— უბრალო წესია. თუკი შენ წინასასეზონო შეკრებაზე ავსტრიაში კარგად მომზადდი, ჩემპიონატშიც წარმატებას უნდა მიაღწიო. ეს შეკრება და შარშანდელი მომზადება ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

● ***თვლით თუ არა, რომ ახლახან დამთავრებული სეზონი საუკეთესო იყო თქვენს კარიერაში?***

— რა თქმა უნდა. უფრო სტაბილურად ვთამაშობდი, ვიდრე წინა ჩემპიონატებში, შევძელი დავხმარებოდი გუნდს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენს საჯარიმოში მაღალ ბურთებს ჩამოაწოდებდნენ ხოლმე. საქმე ის არის, რომ ჩვენი მცველები მაღლები არ არიან. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს ფიზიკურად, ვიდრე ადრე.

● ***პირველად მიგიწვიეს ნაკრებში, რა გაიფიქრეთ: „უკვე“ თუ „როგორც იქნა“?***

— დავიმსახურე ნაკრებში მიწვევა, რაც ადასტურებს ჩემს ადრინდელ სიტყვებს. „შენი დროც დადგება, მოიცადე“. ნაკრებში მიწვევა კომპენსაციაა იმ უდიდესი შრომის, რომელიც ვარჯიშებზე გავწიე. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ნაკრებში მიმიწვიეს.

● ***თქვენ უკვე გეგმავთ მხოლოდ ჩემპიონატზე გამარჯვებას?***

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვემზადებით მომდევნო წლისათვის, როგორ ვითამაშებ ქვეყნის ჩემპიონატში. ყველაზე ძნელია ნაკრებში პირველი გამოსვლა. შემდეგში უფრო იოლი ხდება.

● ***ხომ არ იზიარებთ აზრს, რომ სჯობს ფრანგი ფეხბურთელი საზღვარგარეთის კლუბში თამაშობდეს. იქიდან უფრო გაეხსნება გზა ნაკრებისაკენ?***

— არა, რატომ? თუ შენს შესაძლებლობებს ფრანგულ კლუბში მთლიანად გამოიყენებ, აქედანაც აგიყვანენ ნაკრებში. თუმცა რეალობა ისეთია, რომ იტალიის, ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატებში, მოთამაშეებს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. იქ მეტი პირობებია ზრდისა და დაწინაურებისათვის.

● ***ნანტში კარგად გრძნობთ თავს?***

— გუნდის პროგრესი სრულიად ცხადია, აქ შეიძლება აღიარების მოპოვება. გარდა ამისა, ჩემი ოჯახი აქვე ორ ნაბიჯზე ცხოვრობს, რაც დადებით ემოციებს მმატებს.

● ***დიდმა კლუბებმა, ვთქვათ „პსჟ“-მ და „მარსელმა“ ჩააგდეს სეზონი, პატარა კლუბები, რომელთა შორის „ნანტიც“ შედის, მოდის კანონმდებლებად იქცნენ.***

— იმ აზრს ვიზიარებ, რომ პატარა კლუბი აუცილებლად უნდა გაიზარდოს და დიდი გახდეს, თუ არადა, მოკვდება.

● ***არ ფიქრობთ, რომ დატოვებთ „ნანტს“?***

— როცა ასეთი წინადადება მექნება, რა თქმა უნდა, ვიფიქრებ, ყველაფერს ავწონ-დავწონი. მაგრამ მინდა „ნანტზე“ კარგი მოგონება დამრჩეს, ამიტომ მინდა მის რიგებში რაიმე მნიშვნელოვანის მოგებაც, მაქსიმუმს მივაღწიო.

● ***რამდენ ხანს იბატონებს „ნანტი“ საფრანგეთში?***

— რა თქმა უნდა, რამდენიმე მოთამაშე დაგვტოვებს, მაგრამ უმეტესობა დარჩება და თავის ამბიციებს მინდორზე დაამტკიცებს. ჩემი აზრით ისეთი მოთამაშეები, როგორიც არის, ვთქვათ და როშა, პირველ დივიზიონში რომ 150 მატჩი ჩაატარა, სთხოვს კლუბის ხელმძღვანელობას სხვაგან გადასვლის ნება დართოს. სწორედ ეს არის „ნანტის“ სულისკვეთება, როცა ვალმოხდილი მოთამაშეები მიდიან, დანარჩენები კი მონოლითურ კოლექტივს ჰქმნიან.

მოამზადა
ბიძი თორელმა

### ვე წლის სანაია ახალ კონტრაქტს ეძებს

**მეკარე ზურაბ სანაია, რომელმაც სარატოვის „სოკოლის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, ტოვებს გუნდს. მასზე პრეტენზიას რამდენიმე რუსული გუნდი აცხადებს.**

### პაპალოპულოსს მილოშევიჩი შეცვლის

მას შემდეგ, რაც კვიპროსის ნაკრებმა მორიგი მარცხი განიცადა, წააგო ჰოლანდიელებთან და პორტუგალიელებთან, ხოლო ესტონელებთან ფრედ დაასრულა შეხვედრა, გადადგა მთავარი მწვრთნელი სტავროს პაპალოპულოსი. მას ქვეყნის ჩემპიონ „ანორტოსისის“ (ქ. ფამაგუსტა) მწვრთნელი დუშან მილოშევიჩი შეცვლის.

### საფრანგეთის ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილება

**როგორც საფრანგეთის ფეხბურთის ლიგის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, 2002 წლიდან ქვეყნის პირველ დივიზიონში ახლანდელი 18-ის ნაცვლად 20 კლუბი ითამაშებს.**

**2001-2002 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ პირველ დივიზიონს ორი უარესი კლუბი დატოვებს, მათ მეორე დივიზიონიდან გადმოსული ოთხი კლუბი შეცვლის.**



# უიმბლდონის „პრივატიზაცია“ სამპრასის მიერ

ეს რაღაა — ბევრი რამის პრივატიზაცია ხდება, მაგრამ უიმბლდონისა? დიახ, ეს შეიძლება ითქვას ადამიანზე, რომელსაც „უიმბლდონის მეფეს“ უწოდებენ. რატომ? იმიტომ რომ.... გადავხედოთ უიმბლდონში სამპრასის გამოსვლების ცხილს ბოლო 9 წლის მანძილზე.

1992 — დამარცხება ნახევარფინალში გორან ივანიშევიჩთან 7:6, 6:7, 4:6, 2:6. 1993 — ფინალი ჯიმ კურიესთან 7:6, 7:6, 3:6, 6:3. პირველი ტრიუმფი უიმბლდონში. 1994 — ფინალი გორან ივანიშევიჩთან 7:6, 7:6, 6:0. 1995 — ფინალი ბორის ბეკერთან 6:7, 6:2, 6:4, 6:2. 1996 — წაგება მეოთხედფინალში რიჩარდ კრაიჩეკთან 5:7, 6:7, 4:6. და ოთხი გამარჯვება ზედიზედ: 1997 — სედრიკ პიოლინთან 6:4, 6:2, 6:4. 1998 — გორან ივანიშევიჩთან 6:7, 7:6, 6:4, 3:6, 6:2. 1999 — ანდრე აგასისთან 6:3, 6:4, 7:5. 2000 — პატრიკ რაფტერთან 6:7, 7:6, 6:4, 6:2.

ერთი სიტყვით, 7 გამარჯვება 9 შეჯიბრებაში — პირდაპირ გასაოცარია! ახლა კი რამდენიმე კითხვა პიტ სამპრასს.

— გასაგებია, რომ ყოველწლიურად ვერ გავიმარჯვებ უიმბლდონში, მაგრამ სანამ ძალა მაქვს, შევეცდები ამას. შარშანდელი წარმატება, რა თქმა უნდა, დაუვიწყარი იყო, ფინალურ მატჩს ჩემი მშობლებიც ესწრებოდნენ. ისინი ჩემთან ერთად ალტაცებისგან ტიროდნენ. წელს კიდევაც რომ გავიმარჯვო, ბედნიერების მსგავსი გრძნობა მაინც არ მექნება.

● ***რბილი ხასიათი გაქვთ, მაშ როგორღა ახერხებთ ამდენ ტურნირში გამარჯვებას?***

— ჩემსავით იმდენი მატჩი რომ მოიგო, ძალიან ძლიერი მოთამაშე უნდა იყო, ძალიან მტკიცე ხასიათით. ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. უფრო შინაგანად განვეწყობი ხოლმე, ემოციებს კი ვიკავებ. ისინი კი, ვინც კარგად მიცნობს, ხედავენ, როგორ ვიბრძვი. ასე ვთქვათ, თვალებში მატყობენ!

● ***პრესაში ხშირად გაკრიტიკებენ „უფერული“ თამაშის გამო. თითქოს მკაფიო ინდივიდუალობა არა გაქვთ. არა გწყინთ, როცა ასეთი პუბლიკაციები იბეჭდება?***

— რა გაეწყობა? უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ჰოლივუდს ვერ მოვაწყობ — ეს ჩემი სტილი არ არის. მინდა გულშემატკივრებს დავამახსოვრდე როგორც საუკეთესო ჩოგბურთელი და არა როგორც შოუმენი. სხვადასხვა ჭორი არ მაინტერესებს. გაცილებით უფრო მომწონს, როცა მატჩის შემდეგ ჩემთან მოდიან მშობლები, მოჰყავთ ბავშვები და მადლობას მიხდიან: „ჩვენი შვილისთვის მისაბაძი ხართ!“



● ***რა არ მოგწონთ ყველაზე მეტად თქვენს პროფესიაში?***

— ყველაზე უსიამოვნოა გაუთავებელი მოგზაურობა, თითოეული გადაფრენის შემდეგ გონზე მოსასვლელად რამდენიმე საათი მჭირდება. ყოველივე ეს ძალიან მღლის, დიდ ენერგიას მართმევს. ბევრი ფიქრობს, რომ ჩვენ ვმოგზაურობთ როგორც ტურისტები, ვეცნობით ღირსშესანიშნაობებს, დავდივართ მუზეუმებში. ასე არ არის. როცა ვთამაშობთ, მხოლოდ ჩოგბურთზე ვფიქრობთ. რომ დავბერდები, ექსკურსიებზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ.

● ***როგორ ატარებთ დღეს მატჩის შემდეგ?***

— რაიმე განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, მცირე დროით სატრენაჟორო დარბაზში შევდივარ, ვარ ცოტა ხანს კორტზე, რასაც მასაჟი მოჰყვება. მიყვარს კარგი, წყნარი მუსიკის მოსმენა, ვუყურებ ტელევიზორს, ვახშმის შემდეგ ბევრი მძინავს.

● ***რას აპირებთ პროფესიული კარიერის დამთავრების შემდეგ?***

— არ ვიცი, როგორ გიპასუხოთ. ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი ტელეკომენტატორის, დევისის თასზე გუნდის კაპიტნის, ან მწვრთნელის როლში. ერთი რამ კი ვიცი, ჩოგბურთს თავს არ დავანებებ, სანამ შემეძლება „დიდი მუზარადის“ შეჯიბრებების მოგება.

## გურამ კალმახელიძის ხსოვნას



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის სამეურნეო სამსახურის უფროსი გურამ მიხეილის ძე კალმახელიძე.

კიდევ ერთი ნაღდი თბილისელი დააკლდა ქალაქს, შესანიშნავი მეუღლე და მამა — ოჯახს, ერთგული კაცი — ფონდს, საუკეთესო მეგობარი — სამეგობროს.

გვიჭირს შენზე წარსულ დროში ლაპარაკი, გურამ. გუშინ ჩვენს გვერდით იყავი, დღეს კი აღარა ხარ, შენი თანამშრომლები შოკში არიან, ასე ძალიან რომ უყვარდი ყველას, იმიტომ. წარმოუდგენელიც კია შენი ამქვეყნად არყოფნა, რამდენი ტკივილი მოგვაყენე.

დიდი ადამიანური თვისებები: მოყვასის სიყვარული, საოცარი ერთგულება, უდიდესი კეთილშობილება, უსაზღვრო იუმორი, საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულება უხვად გქონდა მომადლებული, ჩვენო გურამ.

ახალგაზრდობის წლები სპორტს შეალიე და მთელი ცხოვრებაც სპორტის სამსახურში გაატარე. ფუსფუსა კაცი იყავი, ფუტკარივით მშრომელი. ყველა თაობის ადამიანებთან შეგეძლო სადი ურთიერთობა. ყველას ტკივილი გტკიოდა და სიხარული გიხაროდა...

შენ უკვე აღარა ხარ. ეს მწარე რეალობაა. ჩვენ მხოლოდ ცრემლი გვდის შენი გარდაცვალებით გამოწვეული დიდი ტკივილისაგან. სანთელს დავანთებთ და ღმერთს შევევედრებით შენი სპეტაკი სულის სიმშვიდეს.

მშვიდობით, გურამ!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის თანამშრომლები

პანაშვიდი 26, 27.06. 17 სთ. გამოსვენება 28.06 15 სთ.
მისამართი: დოლიძის XI კორპუსი, I სად.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**26 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (14.05), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი,*** „ევროპის სტადიონებზე“ (20.00), ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (19.30, 22.30, 01.30), ***EUROSPORT.*** მაგიდის ჩოგბურთი, ევროპის ჩემპიონთა ლიგა (12.30), მძლეოსნობა. ევროპის თასი (14.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის (15.00, 18.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.30), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი: ეთიოპია — ჰოლანდია (13.55), განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი: რეალი — ვალენსია (17.15), გერმანიის ჩემპიონატი: ბორუსია — მიუნხენი-1860 (19.25), ჰოლანდიის ჩემპიონატი: ფეიენოორდი — აიაქსი (23.55), იტალიის ჩემპიონატი (21.55), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (12.00, 16.00).

**27 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.30), მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (12.00, 20.00), ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (19.45, 22.30, 01.30, 05.30), ***EUROSPORT.*** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის (13.30, 20.00, 0,00), მძლეოსნობა. ევროპის თასი (15.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (17.00) კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (18.00). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის შედეგები (13.15), განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი: ბორუსია-შალკე-04 (15.45) საფრანგეთის ჩემპიონატი: ბასტია — ლიონი (17.30), ესპანეთის ჩემპიონატი: დეპორტივო — ბარსელონა (19.45), იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი, 1/8 ფინალი (21.55, 0.55), ევროპის ფეხბურთი (23.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტური. ნირი (12.00, 16.00), „ბილიარდის მეფეები“ (14.45).

**28 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.55), ***ESPN.*** სპორტის ახალი ამბები (19.30, 23.00, 00.30, 05.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის (14.00, 16.00, 23.00), მოტოსპორტი. გრან-პრი (1.15), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება. (1.00), ***НТВ плюс футбол.*** იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. 1/8 ფინალი (13.15, 15.15, 21.55), განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი: აიაქსი — ტვენტე (17.00), იტალიის ჩემპიონატი: ატლანტა — ლაციო (19.20), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უამბლდონის ტურნირი (12.00, 16.00), ტაილანდური კრივი (14.45), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (0.30).

**საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უეცრად გარდაიცვალა წარსულში ცნობილი თანამედროვე ხუთჭიდელი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის სამეურნეო სამსახურის უფროსი**
**გურამ (ცამცუმ) კალმახელიძე**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის დიდი მეგობრის**
**გურამ კალმახელიძის**
**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

**ქ. ფოთის საზოგადოებრიობა და ქალაქის სპორტკომიტეტი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს ოთარ ხომერიკს დის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის**
**ანასტასია ხომერიკის**
**გარდაცვალების გამო.**

პანაშვილი 26, 27.06; 19 სთ დაკრძალვა 28.06; 16 სთ. მისამართი: ფოთი, გურიის ქ. №63

**„ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს ოთარ ხომერიკს დის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია თანაუგრძნობს სპორტის ოსტატს ცხენოსნობაში ოთარ ჭითინავას ბებიის გარდაცვალების გამო.**

## მრბოლები - მრბოლებად, მანქანები!

### ეროუზი

ოფიციალური სახელწოდება: ორენჯ ეროუზ ეიშატეკი (Orange Arrows Asiatech) 1991-96 წლებში „ფუტურკის“ მარკით გამოდიოდა. შასი: ეროუზ A 22 (Arrows a22). ძრავა: ეიშატეკ 001 (Asratech 001). საბურავები: ბრიჯსტოუნი (Bridg-estone). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: 1978 წლის 29 იანვარს „ბრაზილიის გრან-პრიზე“. „გრან-პრიში“ მონაწილეობა: 263-ჯერ — 0 გამარჯვება, 1 პოულ-პოზიშნი, 0 უსწრაფესი წრე. კონსტრუქტორთა თასი: არა ჰქონია. საუკეთესო ადგილი — მე-5 (1988) ჩემპიონის ტიტული: არა.




### ზაუბერი

ოფიციალური სახელწოდება: ზაუბერი (Sauber petronas). შასი C20 (Sauber C20). ძრავა: პეტრონას 01A(Petronas 01 A). საბურავები: ბრიჯსტოუნი (Bridge-stone). დებიუტი „ფორმულა-1“-ში 1993 წლის 14 მარტს „აფრიკის „გრან-პრიში“ მონაწილეობა: 129-ჯერ, 0 უსწრაფესი წრე-კონსტრუქტორთა თასი: არა ჰქონია. საუკეთესო ადგილი — მე-6 (1998). ჩემპიონის ტიტული: არა.




## ვინ — ვინაა

### ხუან პაბლო მონტოია

დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოგოტაში (კოლუმბია). „ფორმულა-300“-ის ჩემპიონი (1998), საერთაშორისო სერიაში KAPT (1999), მე-2 ადგილი „ფორმულა-300“ (1997), მე-9 ადგილი სერია KAPT (2000). „ფორმულა-1“-ში. არ გამოსულა (წლევანდელი ჩემპიონატი დებიუტია). უცოლშვილოა.




### რალფ შუმახერი

დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ქ. კერპენში (გერმანია). დებიუტი „ფორმულა-1“-ში: „ავსტრალიის გრან-პრი“ (1997 წლის 9 მარტი). გუნდები: „ჯორდანი“ (1997-1998), „უილიამსი“ (1999-2001). საუკეთესო მიღწევა: მე-5 ადგილი ჩემპიონატში (2000). 66 „გრან-პრიში“ აიღო სტარტი: 0 გამარჯვება, 0 პოულ-პოზიშნი, 1 უსწრაფესი წრე, 9 პოდიუმი. 0 სტარტი პირველ რიგში. სულ მოაგროვა 86 ქულა. ცხოვრობს მონტე-კარლოში. უცოლშვილოა.






## კროსვორდი № 49

**თარაზულად:** 6 მთიელთა მატყლისგან დამზადებული წამოსასხამი, 7. საფრანგეთის I დივიზ. საფეხბ. კლუბი, 8. „მილანის“ ფრანგი ფეხბურთელი, 9. წარღვნისდროინდელი კიდობანის „კაპიტანი“, 10. ძაღლი, რომელსაც შავი ყურები აქვს, 11. მინდვრის ყვავილი, 12. საკვები, თეთრი ფერის სითხე, 13. ესპანეთის პრიმერადივიზიონის საფეხბ. კლუბი, 14. გაფრთხილება ძიუდოში, 15. საკონდიტრო ნაწარმი, ერთგვარი ტკბილღვეზელა, 16. მთა კოჯორთან, 18. ნავსადგური ანუ... 19. თბ. „დინამოს“ ყოფილი აფხაზი ფეხბურთელი, 20. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი.

**შვეულად:** 1. ბოლო რკინიგზის სადგური კახეთის რეგიონში, 2. თბილისში ქრისტიანობისთვის წამებული არაბის სახელი, 3. იტალიის საფეხბ. კლუბი, 4. ქართველი ოლ. ჩემპიონი, მძლეოსანი, 5. სოკ-ის პრეზიდენტი, 6. ქართველი ვეტერანი კალათბურთელი, 14. ცხენის ერთგვარი სვლა, 15. მძლეოსნური იარაღი, 17. საერთო საქმეში თითოეული წევრის წილი.

### კროსვორდი №48-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ატალანტა, 7. თამასა, 9. „პარმა“, 10. ვეა, 11. ემერსონი, 12. სეტი, 13. ვიალი, 15. ვალდანო, 18. კორეა, 19. ჩელებაძე, 20. კახიაშვილი. **შვეულად:** 2. „ტოტენჰემი“, 3. „ალანია“, 4. „ტამპერე“, 5. ტარასოვი, 6. ფარი, 8. არანტა, 14. ლასკერი, 15. ვიერი, 16. „ახენი“, 17. მსაჯი.

## საჭადრაკო ამოცანა

**ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)**




**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. კe4! 1. ...მფ:h3 2. კf5X.
1. ...მფf4 2. ეh4X.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.